

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საგრანტო პროგრამა №001-2022

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“

საგრანტო პროექტი №10-001-2022

„სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სარეგისტრაციოდ ელექტრონული (დისტანციურად) წარდგენა (ციფრული მმართველობის ჭრილში)“

გრანტის მიმღები

პროფ. ზვიად გაბისონია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის

კვლევების ცენტრის დირექტორი, სამართლის დოქტორი

„ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

თავი 1. ციფრული მმართველობის არსი და მისი იმპლემენტაცია იუსტიციის სისტემაში

- 1.1. ციფრული მმართველობის ცნება
- 1.2. ციფრული მმართველობის განვითარების დოქტრინული ხედვა
- 1.3. ციფრული მმართველობა იუსტიციის სისტემაში

თავი 2. სამართლის ტექნოლოგიები (LegalTech) და ციფრული სერვისები იუსტიციის სისტემაში

- 2.1. სამართლის ტექნოლოგიების (LegalTech) არსი
- 2.2. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა
- 2.3. ელექტრონულად განხორციელებადი სერვისები

თავი 3. სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურები

- 3.1. სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და ახალი სამეწარმეო კანონმდებლობა
- 3.2. იუსტიციის სისტემის არსებული ონლაინ სერვისები my.gov.ge-ს პორტალზე და კომპანიის ონლაინ რეგისტრაციის ინოვაციური სერვისის დანერგვა
- 3.3. დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის სამართლებრივ-ტექნოლოგიური შესაძლებლობები (ევროკავშირის 2019 წლის დირექტივა)

თავი 4. კომპანიების რეგისტრაციის კანონმდებლობა მაღალტექნოლოგიურ (HiTech) ქვეყნებში

- 4.1. ესტონეთი
- 4.2. სინგაპური
- 4.3. სამხრეთ კორეა

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

დასკვნა

შესავალი

21-ე საუკუნე სამართლიანად მიიჩნევა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქად¹. ე.წ. “მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ” დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფო მართვის მოდელების გადასვლა ციფრულ მმართველობაზე. “ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ” (12.06.2020) საქართველოს კანონის თანახმად, ციფრული მმართველობა გულისხმობს “საჯარო მმართველობის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებას”.

ციფრული მმართველობის პრაქტიკული დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: ციფრული მმართველობა მოქალაქეებისათვის - G2C (Government-to Citizen); ციფრული მმართველობა ბიზნესისთვის - G2B (Government-toBusiness); ციფრული მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისთვის - G2G (Government-to-Government); ციფრული მმართველობა საჯარო მოხელეებისათვის - G2E (Government-to-Employees).

ამ ფორმატით ციფრული მმართველობის განვითარება დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის სხვადასხვა ონლაინ რესურსების შეთავაზებასთან, როგორცაა სახელმწიფო რეგისტრაციების ონლაინ სერვისები, საჯარო ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნება, საზოგადოებრივი ონლაინ გამოკითხვები, აქტიური ორმხრივი ინტერაქტივი სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომხმარებლებს შორის, სხვადასხვა ონლაინ სერვისების არსებობა, ხმის მიცემის ელექტრონული ფორმატი და სხვა.

ციფრული მმართველობის კრილში ქვეყნის მთავარ ინსტიტუციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს. მის დაქვემდებარებაშია ერთი მხრივ სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, მეორეს მხრივ საჯარო და სამეწარმეო რეესტრები, იუსტიციის სახლები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და ა.შ.

წარმოდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევას აქვს ამოცანა - დაეხმაროს იუსტიციის სამინისტროს მის სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვაში. კერძოდ, საგრანტო პროექტი შეეხება კვლევას, თუ რამდენად არის დღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ციფრული სერვისების სისტემა მზად სრულად გადავიდეს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ელექტრონულ რეგისტრაციაზე. აქ იგულისხმება არა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ონლაინ ბაზაში რეგისტრაცია (რაც ისედაც ხორციელდება), არამედ დამფუძნებლების (პარტნიორების, მეპაიეების და სხვ), დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ

¹ Bisen, S. S., & Deshpande, Y. (2018). The Impact of the Internet in twenty-first century addictions: An overview. In Psychological, Social, and Cultural Aspects of Internet Addiction (pp. 1-19). IGI Global.

იუსტიციის სახლებში მიუსვლელად, დისტანციურად ელექტრონულ ფორმატში კომპანიების ან ააიპ-ს რეგისტრაციებისთვის დოკუმენტების ელექტრონულად გაგზავნა/ატვირთვას.

ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 2 აგვისტოს მიიღო ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელმაც არა მარტო ახლებურად დაარეგულირა კომპანიების სადამფუძნებლო დოკუმენტაციის რეგისტრაციის საკითხები, არამედ უკვე რეგისტრირებულ კომპანიებს კანონის 254-ე მუხლის საფუძველზე დაავალა 2 წლის განმავლობაში (2024 წლის 1 იანვრამდე) უზრუნველყონ სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა².

როგორც ცნობილია, ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივით, დაახლოებით ბოლო 20 წელია საქართველო მუდმივად აუმჯობესებს რეიტინგებს ყველა პარამეტრით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ყველაზე ცნობილი „დუინგ ბიზნესის“ რეიტინგის 2020 წლისთვის საქართველო მსოფლიოში მე-7 პოზიციაზეა (იხ.https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/pdf/db2020/Doing-Business-2020_rankings.pdf). თუმცა ვფიქრობ, რომ ამ რეიტინგის გაუმჯობესება დღეს საქართველოს იუსტიციის სისტემაში არსებული ტექნოლოგიების, ადამიანური რესურსებით და მმართველი რგოლების კომპეტენციით სრულიად შესაძლებელია. მსოფლიო ბანკის მიერ 2022 წლიდან ამოქმედებული ახალი სარეიტინგო ინდექსის - Business Enabling Environment-ი, რომელმაც ჩაანაცვლა Doing Business-ის ინდექსი, ერთ-ერთ მთავარ სარეიტინგო პარამეტრად სწორედ დისტანციური სერვისების და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას მიიჩნევს³.

ცნობილია, რომ არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ მთელს ევროკავშირშიც ციფრული სერვისების განვითარების ყველაზე პროგრესული მაჩვენებლები ესტონეთს გააჩნია. მათ მიერ უკვე წლებია გამოიყენება სრულად ციფრული კვალიფიციური ხელმოწერები და ბიზნესის სრულად ონლაინ რეგისტრაცია. ვფიქრობ რომ წარმოდგენილი პროექტის კვლევითი ნაწილი დაეხმარება იუსტიციის სამინისტროს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების სრულად ელექტრონული რეგისტრაციის პროცედურების დანერგვაში.

საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩემს მიერ შესწავლილი იქნა როგორც ესტონეთის, ისე რამდენიმე მაღალტექნოლოგიური ქვეყნის გამოცდილება (სინგაპური, სამხრეთ კორეა) საჯარო ელექტრონულ სერვისებთან მიმართებაში და შეთავაზებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წინადადებები და რეკომენდაციები რაც დაგვეხმარება ამ სერვისების დანერგვაში.

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5230186?publication=1#DOCUMENT:1;>

³ <https://www.worldbank.org/en/programs/business-enabling-environment>

განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევის პროცესში იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ-ების - ციფრული მმართველობის სააგენტო, სერვისების განვითარების სააგენტო და სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენელთა მხარდაჭერა და პრაქტიკული მოსაზრებების გაზიარება აღნიშნული ინოვაციური სერვისების დასაწერად. ვფიქრობ, რომ ერთობლივი ძალისხმევით აღნიშნული სერვისის დაწერგვას იუსტიციის სამინისტროში დროის მოკლე პერიოდში შევძლებთ.

მეთოდოლოგია

იმის გამო, რომ წარმოდგენილი კვლევა გულისხმობს იუსტიციის სისტემაში ინოვაციური სერვისის დაწერგვის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლას და არა უშუალოდ მის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას, კვლევისას გამოყენებული იქნა შედარებით სამართლებრივი მეთოდი და გაანალიზდა მაღალტექნოლოგიური ქვეყნების (სინგაპური, ესტონეთი და სამხრეთ კორეა) კანონმდებლობა და ის საკანონმდებლო პროცედურები, რომელიც აუცილებელ სამართლებრივ საფუძველს ქმნის კომპანიების სრულად დისტანციურად რეგისტრაციის დასაშვებად. შესაბამისად, კომპარატივისტიკის გამოყენებით გაანალიზდა როგორც უცხოური ქვეყნების კანონმდებლობა, ასევე დამუშავდა საქართველოში ციფრული მმართველობის ჭრილში არსებული გამოწვევები და მის ფონზე იუსტიციის სისტემაში ინოვაციური სერვისის დაწერგვის შესაძლებლობა.

ასევე გამოყენებული იქნა ინტერვიუების მეთოდი და წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე გამოიკითხა იუსტიციის სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ-ების - ციფრული მმართველობის სააგენტო, სერვისების განვითარების სააგენტო და სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლები, რომლებმაც კვლევის შედეგებს განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულება შესძინა.

კვლევის პროცესში საკანონმდებლო მასალის ანალიტიკისთვის, დამატებით გამოყენებული იქნა ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგია კომპანია Open AI პროგრამა ChatGPT, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტის ალგორითმზე და რომელსაც აქვს დიდი მოცულობის ღია წვდომის ინფორმაციის დამუშავება-მოწოდების შესაძლებლობები⁴.

⁴ იხ. ბტუ-ს მიერ ხელოვნური ინტელექტის პროგრამა ChatGPT--ს მიერ შექმნილი წიგნი (დამატებითი მასალა) - ციფრული ხელმისაწვდომობის გაძლიერება: ელექტრონული მმართველობის მომავალი (რედ. პროფ. ზ. გაბისონია); მარტი/2023; <https://btu.edu.ge/bibliotheka/el-resursebi/sasargeblo-resursebi/>

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და თანამშრომელთათვის როგორც კვლევით მხარდაჭერას, ასევე სპეციალური ცოდნის ტრენინგებისა და ვორქშოპების ფორმატით გაზიარებას. კონკრეტულად პროექტი გულისხმობს ციფრული მმართველობის განხორციელების ჭრილში ინოვაციური სერვისის დანერგვას - სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურების სრულად ელექტრონიზებას (განმცხადებლების იუსტიციის სახლში ვიზიტის გარეშე).

არსებულ გამოწვევას სრულად ეხმიანება რეფორმის 2019-2020 და შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის (იხ. <https://matsne.gov.ge/document/view/4586360?publication=0>) პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის ქვეთავის 4 ძირითადი ამოცანა: პოლიტიკის შემუშავების, კოორდინაციის და განხორციელების სისტემის გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება; პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების სისტემის დახვეწა; ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება; საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სისტემის დანერგვა.

აღნიშნული მიზნები და გამოწვევები კვლავაც აქტუალურია 2021-2025 წლების საჯარო მმართველობის სტრატეგიის მიზნებისთვისაც, რომლის პრიორიტეტიც იქნება შემუშავებული მიდგომების და რეკომენდაციების დანერგვა, მათ შორის ციფრული მმართველობის დანერგვის ხელშეწყობის გზით.

ამასთანავე, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს შექმნის ფონზე, სახელმწიფო დონეზე, აღნიშნული სააგენტოს ინიცირებით, შემუშავების პროცესშია და უახლოეს პერიოდში მიღებული იქნება 2022-2025 წლების ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის ინსტრუმენტების გაძლიერებასა და ელექტრონული სერვისების განვითარებას.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით. შესაბამისად, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით 2015 წელს დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა.

საჯარო მმართველობის რეფორმა ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს ეყრდნობა და განსაზღვრავს 5 ძირითად მიმართულებას, აგრეთვე, ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, დამატებით კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია: პოლიტიკის დაგეგმვა; საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა; ანგარიშვალდებულება; სახელმწიფო სერვისების მიწოდება; საჯარო ფინანსების მართვა; ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება.

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტების მხარდაჭერით შესწავლილ იქნა საჯარო მმართველობის პრობლემური საკითხები და შესაბამისი მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეფორმის გზამკვლევი 2020, რომელშიც ჩამოყალიბებულია კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელებით რეფორმის მიზნები წარმატებით მიიღწევა.

შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უცხოური გამოცდილების შესწავლით შევძლებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დახმარებას ამ ინოვაციური სერვისის დანერგვა-გაუმჯობესებაში, რაც ორმხრივად სარგებლიანი იქნება - სამინისტროს დაეხმარება ახალი სერვისების განვითარებაში, ხოლო მე საშუალებას მომცემს სამინისტროს კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით განვავითარო ჩემი შემდგომი კვლევები ციფრული მმართველობის სერვისების მიმართულებით.

თავი 1. ციფრული მმართველობის არსი და მისი იმპლემენტაცია იუსტიციის სისტემაში

1.1. ციფრული მმართველობის ცნება

როგორც ცნობილია, დოქტრინასა და პრაქტიკაში ციფრული მმართველობის რამდენიმე სინონიმი გამოიყენება - ელექტრონული მმართველობა, ონლაინმმართველობა, ინტერნეტმმართველობა და სხვა. რა ტერმინითაც არ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება, ფაქტია, რომ გლობალური მასშტაბით ის აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი.

ციფრული მმართველობის საკანონმდებლო დეფინიციას იძლევა იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს მარგულირებელი აქტი - “ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ” საქართველოს კანონი (12.06.2020). კანონის მიხედვით, ციფრული მმართველობა გულისხმობს “საჯარო მმართველობის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებას”.

შესაბამისად, ციფრული მმართველობის ცნების განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სწორედ აღნიშნული შინაარსით, რადგან სხვა დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე ქართული სამართლისთვის ცნობილი არ არის.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება სახელმწიფოს მართვაში ხორციელდება ელექტრონული მართვის (ელ-მართვა) კონცეფციით, რომლითაც მიიღწევა სახელმწიფოს ეფექტიანი და ქმედუნარიანი მართვა. მას ახასიათებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მომსახურების ავტომატიზაციის პროცესს, რომლის იმპერატივები მიმართულია მოლოდინის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების სხვადასხვა მონაწილეებს შორის ინტერაქტიულობისაკენ, სადაც ელექტრონული სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბება ტრანსფორმირებული, გამჭვირვალე, ეფექტიანია და წარმოადგენს საზოგადოების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. იგი, ერთი მხრივ, იძლევა ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ - უფრო საჯაროს ხდის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას. მმართველობის რეჟიმის ციფრული მმართველობა, როგორც მომსახურების წარდგენის უწყვეტი ოპტიმიზაციის პროცესი, ინტერნეტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობითა და ჩართულობით, მიმართულია სახელმწიფო მართვის ორგანოების ეფექტიანი მუშაობის შედეგების ამაღლებასა და მომსახურების/პროდუქტების განვითარებაზე, მოიცავს ბრძანებების მოძრაობისა და კონტროლის მექანიზმს პოლიტიკის იმპლემენტაციის დონეზე. იგი, ერთი მხრივ, იძლევა ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ - უფრო საჯაროს ხდის სახელმწიფო ორგანოების მუშაობას. მმართველობის რეჟიმის ელექტრონული საქმიანობა პრინციპულად ცვლის ჩინოვნიკსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების ატმოსფეროს. ელექტრონულ მართვას განიხილავენ, როგორც ელექტრონული საშუალებების გამოყენებას მთავრობასა და მოქალაქეებს, მთავრობასა და ბიზნესს შორის ურთიერთქმედების მიზნით, აგრეთვე მთავრობის შიდა საქმიანობაში დემოკრატიის, სამთავრობო და ბიზნეს-ასპექტების მართვის გამარტივებისა და წინ წაწევისთვის. ელექტრონული მართვა აერთიანებს და კოორდინირებას უწევს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ურთიერთობას, ქმნის საჯარო ინფორმაციის და კომუნიკაციის გარემოს, შეიცავს ინფორმაციის მართვის სისტემას და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობას.

1.2. ციფრული მმართველობის განვითარების დოქტრინული ხედვა

ციფრული ანუ ელექტრონული მმართველობის იდეა, ჯერ კიდევ 1960-1970-იან წლებში გაჩნდა. ამ პერიოდში მთავრობებმა დაიწყეს კომპიუტერებისა და სხვა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის დასამუშავებლად და შესანახად. თუმცა, მხოლოდ 1990-იან წლებში ინტერნეტისა და მსოფლიო ქსელის

დანერგვით დაიწყო ციფრული მმართველობის, როგორც კვლევისა და პრაქტიკის ცალკეული სფეროს, ფორმირება. ინტერნეტის გამოჩენით მთავრობებმა დაიწყეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ახალი საშუალებების შესწავლა მოქალაქეების ჩართულობის გაფართოების, მომსახურებების მიწოდების გაუმჯობესების და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.

ციფრული მმართველობის თეორიული საფუძვლები რამდენიმე სხვადასხვა სფეროშია წარმოდგენილი, მათ შორის პოლიტიკურ მეცნიერებაში, სახელმწიფო ადმინისტრირების დოქტრინებში, ინფორმაციულ სისტემებსა და ორგანიზაციის თეორიაში. მაგალითად, პოლიტოლოგები იკვლევენ ურთიერთკავშირს ელექტრონულ მმართველობასა და დემოკრატიულ მმართველობას შორის, სადაც ხაზგასმულია შესაძლებლობა, რომ ელექტრონული მმართველობა გააძლიერებს მოქალაქეთა მონაწილეობას და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. მეცნიერები სახელმწიფო მართვის სფეროში ფოკუსირებას ახდენენ ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის ელექტრონული მმართველობის ინიციატივების წარმატებით განხორციელებას, ხოლო ინფორმაციული სისტემების მეცნიერებმა შეისწავლეს ელექტრონული მმართველობის სისტემების ტექნიკური და დაპროექტების ასპექტები. ორგანიზაციის თეორეტიკოსებმა გამოიკვლიეს ლიდერობის, კულტურისა და ცვლილების მართვის როლი ელექტრონული მმართველობის მიღებისა და გავრცელების ხელშეწყობაში.

ელექტრონული მმართველობის ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელების ხელმძღვანელობისთვის აღნიშნული თეორიული საფუძვლების გარდა, შემუშავდა რამდენიმე ჩარჩო და მოდელი. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ჩარჩოები და მოდელებს დისციპლინათაშორისი ხასიათისაა და ეფუძნება სხვადასხვა სფეროდან მიღებულ დასკვნებს. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში შემუშავდა ელექტრონული მმართველობის ჩარჩო, რომელიც ხაზს უსვამს მოქალაქეთა ჩართულობის, ინსტიტუციური განვითარებისა და ICT ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული e-Government Maturity Model eGMM) ფოკუსირებულია ელექტრონული მმართველობის განვითარების ეტაპებზე, ელექტრონული მმართველობის საბაზო მომსახურებებიდან - მოწინავე მომსახურებებამდე.

მთლიანობაში, ელექტრონული მმართველობის ევოლუცია და თეორიული საფუძვლები ასახავს ამ სფეროს მრავალდისციპლინურ და დისციპლინათაშორის ხასიათს. ელექტრონული მმართველობის განვითარება განპირობებულია ICTs მიღწევებით, ასევე მოქალაქეების და სხვა დაინტერესებული პირების საჭიროებებისა და მოლოდინების ცვალებადობით. ელექტრონული მმართველობის თეორიული

საფუძვლები ეყრდნობა სხვადასხვა სფეროდან მიღებულ დასკვნებს, რაც ხაზს უსვამს დისციპლინათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას ამ სფეროს წინსვლისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ელექტრონული მმართველობა ხშირად აღწერილია ციფრული მმართველობის ფორმით, რომელიც გულისხმობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICTs) გამოყენებას სახელმწიფო პროცესებისა და სერვისების გარდაქმნისთვის. ეს კონცეფცია ეფუძნება სახელმწიფო ადმინისტრაციის უფრო ფართო სფეროს, სადაც დიდიხანია არსებობს ეფექტური და ეფექტიანი სამთავრობო სისტემების შემუშავებისა და დანერგვის ინტერესი. თუმცა, ელექტრონული მმართველობა ასევე ეყრდნობა სხვა დისციპლინებს, როგორცაა კომპიუტერული მეცნიერება, საინფორმაციო სისტემები, პოლიტიკური მეცნიერებები და სოციოლოგია.

ძირითადი თეორიული საფუძველი, რომელიც გამოიყენება ელექტრონული მმართველობის კვლევისთვის, არის ციფრული ტრანსფორმაციის კონცეფცია, რომელიც ეხება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესს, ორგანიზაციის სამუშაო მეთოდების ფუნდამენტალური ცვლილებისთვის. ციფრული ტრანსფორმაცია ხასიათდება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციით ორგანიზაციის ყველა ასპექტში, მათ შორის მის ბიზნეს მოდელებში, პროცესებსა და კულტურაში. ასეთი სტრუქტურა განსაკუთრებით აქტუალურია ელექტრონული მმართველობისთვის, რადგან ის ხაზს უსვამს ერთიანი / კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას ელექტრონული მმართველობის ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

ციფრული ტრანსფორმაციის გარდა, ელექტრონული მმართველობის შესასწავლად გამოყენებულ სხვა თეორიულ საფუძვლებში შედის ინსტიტუციური თეორია, რომელიც ფოკუსირებულია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების როლზე ორგანიზაციული ქცევის ჩამოყალიბებაში და სოციალური კაპიტალის თეორია, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური ქსელების და ურთიერთობების მნიშვნელობას ნდობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ეს სტრუქტურები ღირებულ ინფორმაციას გვაძლევს იმ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ ელექტრონული მმართველობის ინიციატივების წარმატებას ან კრახს, ასევე მათ განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მთლიანობაში, ელექტრონული მმართველობის თეორიული საფუძვლები და ჩარჩოები არის კომპლექსური და მრავალდისციპლინარული, ეყრდნობა სხვადასხვა სფეროებსა და პერსპექტივებს. ამ თეორიული საფუძვლების გაგებით, მკვლევარები და პრაქტიკოსები უფრო ღრმად ეცნობიან ელექტრონული მმართველობის ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე ძირითადი ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მათ შედეგებზე.

ელექტრონული მმართველობა არის მრავალმხრივი და მუდმივად განვითარებადი ფენომენი, რომელიც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას მოქალაქეებისთვის სახელმწიფო სერვისებისა და ინფორმაციის მიწოდების გასაუმჯობესებლად. მას საფუძვლად უდევს მრავალი განსხვავებული კონცეფცია, თეორია და მოდელი, რომლებიც შემუშავებულია მისი განვითარებისა და განხორციელებისთვის. ამ თავში ჩვენ შევისწავლით ძირითადი კონცეფციები, თეორიები და მოდელები ელექტრონულ მმართველობის და მათი მნიშვნელობის შესახებ.

ელექტრონული მმართველობა აერთიანებს სხვადასხვა ძირითად კონცეფციებს, მათ შორის როგორცაა ელექტრონული დემოკრატია, ელექტრონული მონაწილეობა, ელექტრონული გამჭვირვალობა და ელექტრონული სერვისების მიწოდება. ელექტრონული დემოკრატია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას დემოკრატიულ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და მონაწილეობის გასაძლიერებლად, ხოლო ელექტრონული მონაწილეობა გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს მთავრობასთან ურთიერთობის და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. ელექტრონული გამჭვირვალობა გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისთვის, ხოლო ელექტრონული სერვისების მიწოდება ორიენტირებულია მოქალაქეებისთვის სახელმწიფო სერვისებისა და ინფორმაციის ციფრული პლატფორმების მეშვეობით მიწოდებაზე.

ელექტრონულ მმართველობას საფუძვლად უდევს რამდენიმე ძირითადი თეორია, მათ შორის სოციალურ-ტექნიკური სისტემების თეორია, ინოვაციების გავრცელების თეორია და ინსტიტუციური თეორია. სოციალურ-ტექნიკური სისტემების თეორია მიუთითებს, რომ ტექნოლოგია და სოციალური სისტემები ურთიერთდაკავშირებულია და უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომელიც ასახავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ინოვაციების გავრცელების თეორია მიუთითებს, რომ ახალი ტექნოლოგიების მიღებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის ტექნოლოგიის მახასიათებლები, მიმღებთა მახასიათებლები და სოციალური სისტემის მახასიათებლები, რომელშიც ინოვაცია ინერგება. ინსტიტუციური თეორია მიუთითებს, რომ ახალი ტექნოლოგიების მიღებაზე გავლენას ახდენს ინსტიტუციური ფაქტორები, მათ შორის ნორმები, ღირებულებები და ურთიერთობები ხელმძღვანელობასა და დაქვემდებარებულ პირებს შორის, რომლებიც არსებობს ორგანიზაციაში.

ელექტრონული მმართველობის განვითარებასა და დანერგვას საფუძვლად დაედება რამდენიმე ძირითადი მოდელი, მათ შორის ელექტრონული მმართველობის სიმწიფის მოდელი, ელექტრონული სერვისის ხარისხის მოდელი და ციფრული

უთანასწორობის მოდელი. ელექტრონული მმართველობის სიმწიფის მოდელი არის ჩარჩო, რომელიც აღწერს ელექტრონული მმართველობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, ინფორმაციის მარტივი გავრცელების საწყისი ეტაპიდან მოქალაქეების მონაწილეობისა და ჩართულობის მოწინავე ეტაპებამდე. ელექტრონული სერვისების ხარისხის მოდელი ორიენტირებულია ელექტრონული სერვისების ხარისხზე და მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საიმედოობა, პასუხისმგებლობა და უსაფრთხოება. ციფრული უთანასწორობის მოდელი ასახავს ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის უთანასწორობას და ბარიერებს მათი მიღების პროცესში.

შუალედური დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ციფრული ანუ ელექტრონული მმართველობა რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კონცეფციებს, თეორიებსა და მოდელებს. ამ ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა და მოდელების შეცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ციფრული მმართველობის ეფექტური სტრატეგიების შემუშავებაში და ციფრული ტექნოლოგიების პოტენციური უპირატესობების უზრუნველყოფაში⁵.

1.3. ციფრული მმართველობა იუსტიციის სისტემაში

ზოგადი პრინციპის მიხედვით, ციფრული მმართველობა არის სახელმწიფოს ნება, გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებები, რათა თავად მთავრობა და მისგან მიწოდებული მომსახურება გახადოს უფრო ეფექტიანი, მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი. ელექტრონული მმართველობა მოიცავს:

- სამთავრობო ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობას;
- მოქალაქეების ჩართულობას საჯარო მოსამსახურებთან უშუალო კომუნიკაციის გზით;
- მთავრობის ინფორმაციულ ღიაობას მისი საქმიანობის მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოჩენის გზით;
- ინტერაქტიურობას, რაც ხსნის საზღვრებს სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის და აძლევს მათ თანაბარ შესაძლებლობას, ონლაინ რეჟიმში მიიღონ სამთავრობო მომსახურებები, რაც ზოგავს მათ დროსა და ფინანსებს⁶.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სისტემა წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციური სერვისების

⁵ მასალა გამოყენებულია ბტუ-ს მიერ ხელოვნური ინტელექტის პროგრამა ChatGPT--ს მიერ შექმნილი წიგნიდან (დამატებითი მასალა) - ციფრული ხელმისაწვდომობის გაძლიერება: ელექტრონული მმართველობის მომავალი (რედ. პროფ. ზ. გაბისონია); მარტი/2023; <https://btu.edu.ge/bibliotheka/el-resursebi/sasargeblo-resursebi/>

⁶ გაბისონია ზ., გაბრიელეშვილი გ., გაგნიძე ნ., პაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა (რედ. ქ. ქარდავა), თბ., 2021; გვ. 9.

მიმწოდებელ სახელმწიფო ინსტიტუტად, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთმითითებულ ყველა ნიშანს.

წლების განმავლობაში იუსტიციის სისტემაში დანერგილია ელექტრონული სერვისების ელექტრონული პორტალი my.gov.ge⁷, რომელიც მოიცავს ძირითად სერვისებს, მუნიციპალურ სერვისებს, ქონების რეგისტრაციის, სოციალური მომსახურების, ნებართვებისა და ლიცენზიების, განათლების, ბიზნესის რეგისტრაციის, სატრანსპორტო, დავალიანებების, ონლაინ გადახდებისა და სხვა სერვისებს.

ძირითადი სერვისები მოიცავს ელექტრონული სერვისების მიწოდებას, უძრავი ქონების რეესტრში განაცხადების ძებნას, მეწარმე იურიდიული პირების განაცხადების ძებნას, ვიზიტის დაჯავშნას, განმეორებითი ელექტრონული პირადობის მოწმობას, მიმოწერას საჯარო უწყებებთან, დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებს, ბიომეტრიული პასპორტის განმეორებით გაცემას, სანოტარო ბიუროების მომსახურებას.

მუნიციპალური სერვისები მოიცავს მომსახურების ძიება-მუნიციპალიტეტი, სოციალური დახმარება-მუნიციპალიტეტი, არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები - მუნიციპალიტეტი, ჯანმრთელობის დაცვა-მუნიციპალიტეტი, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი - მუნიციპალიტეტი.

ქონებასთან დაკავშირებული სერვისები მოიცავს საკუთარი უძრავი ქონების ამონაწერის განახლების, უძრავი ქონების რეესტრში განაცხადების ძებნის, სამისამართო რეესტრის, ამონაწერის და საკადასტრო გეგმის მომზადების, უძრავი ქონების, სახელმწიფო ქონების სერვიტუტით დატვირთვაზე თანხმობის გაცემის, არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები-მუნიციპალიტეტი,ს ქონების რეგისტრაციაზე, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებაზე თანხმობის, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების შესახებ საკითის განხილვის ინიცირების, ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციაზე თანხმობის, ყადაღის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრის, ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის შესახებ, ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების შესახებ, ინფორმაცია საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის შესახებ, გირავნობა/ლიზინგის რეესტრი,ს გირავნობა/ლიზინგის ამონაწერის მომზადების, მისამართების რეესტრში განაცხადების ძებნის, ინფორმაციას ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან, ყადაღის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრში განაცხადების ძებნის, სამემკვიდრეო რეესტრის, საჯარო რეესტრში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის, ავტომობილების ფლობის, ღიობების, აივნის, ტერასების ან/და სხვა სამუშაოების განხორციელებაზე

⁷ <https://www.my.gov.ge/ka-ge/services/10>

თანხმობის სამიდღემშო რჩენის რეგისტრაციას უძრავ ქონებაზე, უპირატესი შესყიდვის უფლებას უძრავ ქონებაზე და სხვა მსგავს სერვისებს.

სოციალური მომსახურების სერვისები მოიცავს სოციალური სარეიტინგო ქულის, სოციალური დახმარებებისა და გასაცემლების და სოციალური დახმარება-მუნიციპალიტეტების სერვისებს.

ნებართვები და ლიცენზიები მოიცავს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიას, ქსელური სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობას, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის წლიურ ანგარიშგების, ბირთვულ და რადიაციული საქმიანობის ფარგლებში ნებართვებთან დაკავშირებულ სერვისებს.

განათლების სერვისები აერთიანებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, დევნილის მიერ მიღებული განათლების აღიარებას, ლიკვიდირებულ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებას, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარებას და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების სერვისებს.

ბიზნესის სერვისები მოიცავს მონაწილეობას საწარმოებში, მეწარმე/იურიდიული პირების განცხადების ძებნის, რეგისტრაციას სავალდებულო ეკონომიკური საქმიანობის სახეებსა და კოდებს, ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორს, წილზე გირავნობის უფლებაში ცვლილებების რეგისტრაციის, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების თანადაფინანსების, ეკონომიკური საქმიანობის რეესტრში განცხადების ძებნის, ტექნიკური ხარვეზის შესწორების (არაავტორიზებული), სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მომზადების (არაავტორიზებული), წილზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის, წილზე გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის, გადახდისუუნარობის (გაკოტრება, რეაბილიტაცია) საქმისწარმოების დაწყების და შეწყვეტის, ელ. ფორმით პარტნიორთა კრების მოწვევაზე შეთანხმების, პარტნიორთა კრების მოწვევისა და კენჭისყრის, ტექნიკური ხარვეზის შესწორებას ნეწარმეა და აეასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სამეწარმეო რეესტრის მომზადებას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებას, ამონაწერის მომზადებას ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრიდან, ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციასა და რეგისტრირებულ მოანაცემების რეგისტრაციუს ვადის გაგრძელების, რეგისტრაციის გაუქმებას, ტექნიკური ხარვეზის შესწორებას, რეგისტრირებულ მოანაცემებში ცვლილებების შეტანის სერვისებს. ამავე კატეგორიაში ინტეგრირებულია ტექნიკური დახმარების სერვისი და ციფრული ტაქოგრაფის მძღოლის ბარათის სერვისები.

სატრანსპორტო სერვისები მოიცავს დაშვების მოწმობის და ECMT სერტიფიკატის დუბლიკატების, სახიფათო ტვირთის გადაზიდვაზე დაშვების მოწმობის, საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების ნებართვის, ფირნიშის ბლანკების, მზისთვის ვარგისობის ტესტის ECMT-ს სერტიფიკატის, მისაბმელის ტექნიკურ და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის ECMT-ს სერტიფიკატის, სანებართვო მოწმობის დუბლიკატის, სატვირთოს ტექნიკურ

და უსაფრთხოების ნორმებთან შესატყვისობის ECMT-ის სერტიფიკატის, ციფრული ტაქოგრაფის კომპანიის ბარათის, ციფრული ტაქოგრაფის სახელოსნოს ბარათის, საერთაშორისო საავტომობილო მრავალჯერად სატვირთო გადაზიდვებზე და ECMT-ს ნებართვის სერვისებს.

დავალიანების სერვისები მოიცავს მოვალეთა რეესტრს, საგადასახადო დავალიანებას და პარკირების ჯარიმებს.

სხვადასხვა სერვისებში თავმოყრილია როგორც სანოტარო მომსახურებასთან დაკავშირებული პორტალები, ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული რეესტრის აპოსტილის, მოქალაქეობის და სხვა სახის სერვისებს.

დაბოლოს, **ონლაინ გადახდებში** თავმოყრილია სხვადასხვა კომუნალური, სახელმწიფო თუ საფინანსო მომსახურებასთან დაკავშირებული სერვისები.

როგორც ჩამოთვლილი სერვისებიდან ნათლად ჩანს, იუსტიციის სამინისტროს მიერ მართული ერთიანი პორტალი my.gov.ge-ს სერვისები მოიცავს როგორც თავად იუსტიციის სისტემაში მოქცეული სერვისების მომსახურებას, ასევე განათლების, ტრანსპორტის, მუნიციპალიტეტის და სხვა ინსტიტუციების მიერ გაცემული სერვისების ელექტრონულ მომსახურებას, რაც თავისთავად ართულებს ამდენი სერვისის ადმინისტრირების სამართლებრივ-ტექნიკურ საკითხებს.

რადგან წარმოდგენილი კვლევა შეეხება მხოლოდ იურიდიული პირების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ონლაინ სერვისის გაფართოვების სამართლებრივ საკითხებს, ჩამოთვლილი სერვისებიდან განსახილველად გვჭირდება მხოლოდ ბიზნესის სერვისები.

თავი 2. სამართლის ტექნოლოგიები (LegalTech) და ციფრული სერვისები იუსტიციის სისტემაში

2.1. სამართლის ტექნოლოგიების (LegalTech) არსი

როგორც ცნობილია სამართალი სოციალური მეცნიერების დარგია. მარტივი განმარტების მიხედვით, სოციალური მეცნიერებები არის აკადემიური დისციპლინების ნაკრები, რომლებიც შეისწავლიან ადამიანის ასპექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ ქცევასთან და სოციალური ორგანიზაციის ფუნქციებთან და ელემენტებთან. შესაბამისად კვლევის პროცესში სამართალი პრაქტიკულად არ იყენებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის დამახასიათებელ სამეცნიერო ექსპერიმენტებს.

მიუხედავად ამისა, მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ დღის წესრიგში დააყენა ტრადიციულად დამკვიდრებული სამართლის მეცნიერების გადახედვა. კერძოდ, იმის გამო, რომ ინტერნეტი და ტექნოლოგიები ექსპონენციურად ვითარდება,

სამართლის მეცნიერების დღის წესრიგში დადგა ორი საკითხი - ერთი განავითაროს ტექნოლოგიების სამართალი და მისი ცალკეული ქვედარგები და ინსტიტუტები (ინტერნეტ სამართალი, ელექტრონული კომერციის სამართალი, სოციალური ქსელების სამართალი, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართალი, ხელოვნური ინტელექტის სამართალი და სხვა)⁸.

მეორე მიმართულება, რომელიც წინამდებარე კვლევისთვისაა მნიშვნელოვანი შეეხება სამართლის ტექნოლოგიების (ე.წ. ლიგალტექის - LegalTech) განვითარებას, რომელიც გულისხმობს სამართლის სერვისებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას და ამ სერვისების საჯარო და კერძო სექტორში დანერგვას.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, „საჯარო უწყებების დიგიტალიზაციის მხრივ საქართველო საკმაოდ წარმატებულია. გაციფრულებულია როგორც სერვისები, ისე დოკუმენტბრუნვა. თუმცა ლიგალტექის გამოყენება იშვიათად ხდება. მოქალაქეთათვის სერვისების მიწოდებისას, როგორც წესი, არსებობს ციფრული პლატფორმა, სადაც დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს უწყებას განცხადებით. მაგრამ მონაცემთა ავტომატური დამუშავება და პროდუქტის ავტომატური გენერირება სამართლის ტექნოლოგიების გამოყენებით არ ხდება. რაც შეეხება დოკუმენტბრუნვას, აქ ხდება მხოლოდ საქმისწარმოების და არა სამართალწარმოების გაციფრულება. ლიგალტექი კი აქცენტს სწორედ სამართალწარმოების ავტომატიზაციაზე აკეთებს“⁹.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ციფრული მმართველობის განხორციელება იუსტიციის სისტემაში პირდაპირ უკავშირდება საქართველოში სამართლის ახალი დარგებისა და დისციპლინების გაჩენას. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლის დოქტრინასა და პრაქტიკაში ორი ახალი ცნების გაჩენა - ტექნოლოგიების სამართალი და სამართლის ტექნოლოგიები (LegalTech).

ვფიქრობ, რომ ამ ორ ცნებას შორის არსებითი განსხვავებაა და ნებისმიერი სამეცნიერო კვლევის დროს უნდა მიექცეს ყურადღება.

ტექნოლოგიების სამართალი დოქტრინაში თანდათან ყალიბდება ტექნოლოგიების მარეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობების დარგებისაგან და ვფიქრობ, რომ იქცევა ამ დარგების გამაერთიანებელ ცნებად.

დოქტრინის თვალსაზრისით, აქ განსაკუთრებული არაფერია. თავის დროზე ამერიკულ სამართალში გაჩენილმა ტერმინმა „ბიზნეს სამართალი“ გააერთიანა ისეთი

⁸ ტექნოლოგიების სამართლის დარგების შესახებ იხ. ზ. გაბისონია. ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, თბ. 2022.

⁹ იხ. გ. ხუბუა, ლ. სირდაძე. სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N7/2022, გვ. 1-3.

სამართლის დარგები, რომელიც რომანულ-გერმანულ სამართლის დოქტრინაში პრინციპულად იყო გამოიჯნული კერძო და საჯარო სამართლის დარგებად. ასე გაჩნდა „ბიზნეს სამართალი“, როგორც არა ერთი სამართლის დარგის, არამედ სამართლის დარგების სინთეზი და მასში გაერთიანდა, საკორპორაციო, საგადასახადო, სანივთო, ვალდებულებითი, საბანკო, სადაზღვევო, საინვესტიციო და სხვა ბიზნესის მარეგულირებელი სამართლის დარგები¹⁰. ვფიქრობ, რომ მომავალში ასეთ გამაერთიანებელ ცნებად ჩამოყალიბდება „ტექნოლოგიების სამართალი“, რომელიც ინტერნეტ სამართლის¹¹ და მასში შემავალი ქვედარგების გარდა გააერთიანებს ისეთ დარგებს, როგორიცაა ინტერნეტ სამართალი, ელექტრონული კომერციის სამართალი¹², სოციალური ქსელების სამართალი, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სამართალი¹³, საინჟინრო სამართალი, განახლებადი ენერგიის სამართალი, ხელოვნური ინტელექტის სამართალი¹⁴ და სხვ.

რაც შეეხება სამართლის ტექნოლოგიებს (ე.წ. ლიგალტექი, LegalTech), ის გულისხმობს იურიდიული სერვისების გაციფრულების პროცესს საჯარო და კერძო სექტორში. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ მეცნიერებაში, „გარდა ტექნოლოგიების სამართლისა, იურიდიულ პროფესიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი). ციფრული ვიზუალიზაცია და ავტომატიზაცია გვთავაზობს კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის მარტივ გზას. ლიგალტექი იძლევა შესაძლებლობას, იურისტმა სამართლებრივი პროდუქტები რამდენიმე კვირის ნაცვლად რამდენიმე წამში მოამზადოს. სისწრაფესთან ერთად ლიგალტექით ასევე ხდება ხარისხის კონტროლი. გამართულად ფუნქციონირებადი პროგრამა დაცულია ადამიანური შეცდომისგან. პროგრამაში იურისტის ცოდნის „ჩაშენება“ ხდება ერთხელ და შემდეგ პროგრამა უზრუნველყოფს ამ ცოდნის რეპლიკაციას შეუზღუდავი რაოდენობის პროდუქტის მოსამზადებლად¹⁵.

ქართული საკორპორაციო სამართალი, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონს ემყარება, განსაზღვრავს როგორც სამაწარმოო იურიდიული პირების სამართლებრივ ფორმებს, ასევე მათი რეგისტრაციისთვის აუცილებელ ყველა პარამეტრს.

¹⁰ ზ. გაბისონია. ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. თბ., 2022, გვ.

¹¹ იხ. ზ. გაბისონია. ინტერნეტ სამართალი, როგორც სამართლის ახალი დარგი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N11/2022.

¹² იხ. ზ. გაბისონია. ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, შედარებითი სამართლის გერმანულ - ქართული ჟურნალი, N6/2020, (გერმანულ და ქართულ ენებზე).

¹³ იხ. ზ. გაბისონია. ბლოკჩეინის სამართლებრივი რეგულირების ცნება და პრობლემები, შედარებითი სამართლის გერმანულ - ქართული ჟურნალი, N 3/2019

¹⁴ იხ. ზ. გაბისონია. ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლის სუბიექტად ცნობის პრობლემა, ჟურნ. „იუსტიცია“, N1.

¹⁵ გ. ხუბუა, ლ. სირდაძე. სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N7/2022, გვ. 1.

ანალოგიური შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება. როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სისტემაში შემავალი სსიპ-ები და შესაბამისად, დადგენილია დეტალური პროცედურა მათი რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის, მისი ანალიზის და სარეგისტრაციო ვადებისა და მოსაკრებლების შესახებ.

შესაბამისად, აღნიშნული პროცედურები ნაწილობრივ ავტომატიზებულია. თუმცა წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული პროცესის სრულ ავტომატიზაციას და შესაბამისად, მის ლიგალტექის არეალში მოქცევას. ამისათვის კი აუცილებელია ერთის მხრივ შემოწმდეს რამდენად ესადაგენა ლიგალტექის პროცესს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და მეორეს მხრივ, რამდენადაა სისტემა მზად იურიდიული პირების რეგისტრაცია სრულად დისტანციურად, იუსტიციის სახლებში ვიზიტის გარეშე, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად მოხდეს.

ამისთვის რამდენიმე საკითხი უნდა დაზუსტდეს - რამდენადაა მზად სისტემა დოკუმენტაციის ელექტრონიზების დროს ელექტრონული ხელმოწერების ფართოდ გამოსაყენებლად და რამდენადაა შესაძლებელი კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურები სრულად ელექტრონიზებული გაგზადოთ.

2.2. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონის მიღებამდე ელექტრონული ხელმოწერა განმარტებული იყო, როგორც „ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად“. თუმცა, კანონმა ელექტრონული ხელმოწერა განმარტა, როგორც „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება“. გარდა ამისა, ელექტრონულ ხელმოწერასთან ერთად, შემოიტანა ელექტრონული შტამპის ცნებაც. კანონის მიხედვით, ელექტრონული შტამპი არის „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება“.

კანონის მთავარ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მან განსაზღვრა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის შემოწმების მონაცემების, ასევე შექმნის მონაცემებისა და საშუალებების ცნება. გარდა ამისა, კანონმა შემოიტანა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის ცნება.

ელექტრონული ხელმოწერისა და/ან ელექტრონული შტამპის შემოწმების მონაცემები გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შესამოწმებლად გამოიყენება, ხოლო მათი შექმნის მონაცემები არის უნიკალური მონაცემები, რომლებსაც ხელმომწერი და/ან შტამპის დამსმელი ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შესაქმნელად იყენებს. ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება კი გულისხმობს პროგრამული ან/და აპარატული უზრუნველყოფის საშუალებების ერთობლიობას, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შესაქმნელად გამოიყენება.

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის და/ან ელექტრონული შტამპის სერტიფიკატს, ის წარმოადგენს უნიკალურ ელექტრონულ დოკუმენტს, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის და/ან ელექტრონული შტამპის შემოწმების მონაცემებს ხელმომწერთან და/ან შტამპის დამსმელთან აკავშირებს და შეიცავს, სულ მცირე, ხელმომწერის სახელს ან/და ფსევდონიმს/შტამპის დამსმელის სრულ სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდს (ასეთი კოდის არსებობის შემთხვევაში).

ადრე არსებული აღიარებული შეხედულებით, ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება ყოფილიყო მარტივი, რომლის განხორციელებაც მარტივი საშუალებების გამოყენებით შეიძლება (მაგ., სკანირებული ხელმოწერის მიმაგრებით). ამასთან, ასეთი ხელმოწერების განხორციელების უსაფრთხოება დაბალი იყო. მისგან განსხვავებდნენ განვითარებულ ელექტრონული ხელმოწერას, რომელიც წყვილი გასაღების გამოყენებით ხორციელდებოდა. ხელშეკრულების ელექტრონული გზით დასადებად საჭირო იყო ხელმოწერის ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებები .

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონმა ელექტრონული ხელმოწერასთან ერთად შემოიტანა ახალი ცნება – ელექტრონული შტამპი. გარდა ამისა, კანონმა განსაზღვრა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის განსხვავებული სახეები.

ელექტრონული ხელმოწერის ძირითად სახედ განისაზღვრა განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, ხოლო მის ნაირსახეობად – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა.

განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის სახეს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) იგი მხოლოდ ხელმომწერთანაა დაკავშირებული;
- ბ) მისი მეშვეობით ხელმომწერის დადგენაა შესაძლებელი;

გ) იგი შექმნილია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ხელმოწერის, მტკიცე რწმუნებით, ერთპიროვნული კონტროლით შეუძლია;

დ) იგი ხელმოწერილ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა წარმოადგენს განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის ნაირსახეობას, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული. კვალიფიციური ელექტრონული სერტიფიკატი განისაზღვრება როგორც ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს სულ მცირე:

ა) ელექტრონული დამუშავებისათვის გამოსადეგ აღნიშვნას იმის თაობაზე, რომ სერტიფიკატი გაცემულია, როგორც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი;

ბ) მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც საკმარისია კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის იდენტიფიკაციისათვის: სულ მცირე კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის დასახელებას და იმ ქვეყნის კოდს, რომელშიც რეგისტრირებულია იგი;

გ) მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც საკმარისია ხელმოწერის/შტამპის დამსმელის იდენტიფიკაციისათვის: სულ მცირე სახელს ან/და ფსევდონიმს/სრულ სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდს;

დ) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შემოწმების მონაცემებს, რომლებიც შეესაბამება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის მონაცემებს;

ე) სერტიფიკატის მოქმედების დაწყებისა და დასრულების თარიღებს;

ვ) სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის უნიკალურია;

ზ) იმ ელექტრონული მომსახურების ელექტრონულ მისამართს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სერტიფიკატის მოქმედების სტატუსის გამოსათხოვად;

თ) ელექტრონული დამუშავებისათვის გამოსადეგ აღნიშვნას ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის მონაცემების ელექტრონული

ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის შექმნის კვალიფიციურ საშუალებაში განთავსების თაობაზე (აღნიშნული მონაცემების ამგვარ საშუალებაში განთავსების შემთხვევაში) .

რაც შეეხება ელექტრონულ შტამპს, ელექტრონული ხელმოწერის მსგავსად, ისიც ითვალისწინებს განვითარებული ელექტრონული შტამპისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის ნაირსახეობებს.

განვითარებული ელექტრონული შტამპი წარმოადგენს ისეთ ელექტრონული შტამპს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი მხოლოდ შტამპის დამსმელთანაა დაკავშირებული;

ბ) მისი მეშვეობით შტამპის დამსმელის დადგენაა შესაძლებელი;

გ) იგი შექმნილია ელექტრონული შტამპის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც შტამპის დამსმელს, მტკიცე რწმუნებით, საკუთარი კონტროლით შეუძლია;

დ) იგი შტამპდასმულ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

კვალიფიციური ელექტრონული შტამპი კი არის განვითარებული ელექტრონული შტამპის ნაირსახეობა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ერთმანეთის იდენტურია. თუმცა, სერტიფიკატის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, შინაგანაწესით განსაზღვრულ ფარგლებში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი შეიძლება დამატებით მონაცემებს შეიცავდეს. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელს უფლება აქვს, დამატებითი მონაცემები შეიტანოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატთან დაკავშირებულ სხვა ელექტრონულ დოკუმენტში (ატრიბუტების კვალიფიციური სერტიფიკატი), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის იდენტიფიკაცია;

ბ) მას უნდა ჰქონდეს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა/განვითარებული ელექტრონული შტამპი.

კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

კვალიფიციური ელექტრონული შტამპი იძლევა ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დადასტურების შესაძლებლობას – ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობა და წარმომავლობა უტყუარად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

თუ ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას აირჩევს და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს საჭიროებს, სავალდებულოა დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს დოკუმენტზე ხელმოწერის შესრულებას ან/და შტამპის დასმას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. საკმარისია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება სავალდებულო არ არის ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურულ ერთეულებსა/ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში ურთიერთობისას. ამ შემთხვევაში გამოყენებულ ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

ამასთან, დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოებისას და სასამართლოში სამართალწარმოებისას ელექტრონულ დოკუმენტზე უარის თქმა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის ელექტრონული ფორმითაა წარდგენილი, თუმცა, ეს არ გამორიცხავს ელექტრონული დოკუმენტის შესაბამის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნული წარმოებისათვის დადგენილ წესებს არ აკმაყოფილებს. დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოებისას და სასამართლოში სამართალწარმოებისას ელექტრონული ხელმოწერისათვის ან/და ელექტრონული შტამპისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის არ აკმაყოფილებს კვალიფიციური ელექტრონული

ხელმოწერისათვის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპისათვის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დანაწესისა, თუ ფიზიკურ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის შეთანხმება არსებობს, ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიერ საქმიანობის განხორციელებისას ამ კანონისგან განსხვავებული პირობების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით შესრულებულ ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

კვალიფიციური ელექტრონულ ხელმოწერისა და შტამპის სამართლებრივ პრობლემათა დადგენისას, განსაკუთრებული ყურადღება მათ ნამდვილობის დადგენას უნდა დაეთმოს. აღნიშნულს ითვალისწინებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

დღეისათვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ტექნოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს იუსტიციის სახლის მიერ გაცემული ID ბარათის, სპეციალური წამკითხველი რიდერის და გაცემული PIN 1,2,3 კოდების საფეხურებრივი გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების საშუალებას იძლევა. თუმცა აღნიშნული ტექნოლოგია არ იძლევა საშუალებას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა სმარტფონის საშუალებით რომ შესრულდეს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შეუტანლად შესაძლებელია გარდა აღნიშნული ტექნოლოგიისა იუსტიციის სისტემაში დაინერგოს სმარტფონების და სხვა გაჯეტების თანხვედრადი აპლიკაციები. მაგალითისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა Mobile ID ან Digital ID. აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვა იუსტიციის სისტემას საშუალებას მიცემს დაინერგოს კიდევ უფრო ინოვაციური სერვისი - სმარტფონის ან გაჯეტების მობილური აპლიკაციის მეშვეობით სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული ხელმოწერის საკითხების ერთგვაროვან რეგლამენტაციას უზრუნველყოფს დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“, ხოლო UNCITRAL-ის ელექტრონული ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის 31-ე-38-ე სესიები მიემდგვნა მოდელური კანონის შექმნას „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“. 1999 წლის დირექტივამ დაადგინა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის გასაღების

სერტიფიკატის გაცემაზე მომსახურების გაწევის „ჩარჩო“ რეგულირება, რათა ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოებს ამ დირექტივის შესაბამისად მიეღოთ კანონები და კანონქვემდებარე აქტები .

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ელექტრონული ხელმოწერები, რომლებიც შექმნილია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საიმედო საშუალებების გამოყენებით და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი: ა) აკმაყოფილებდეს ელექტრონული ფორმის მონაცემთა მიმართ ხელმოწერის იურიდიულ მოთხოვნებს ისევე, როგორც პირადად სუბიექტის მიერ ქალაქში ასახულ ინფორმაციაზე განხორციელებული ხელმოწერა; ბ) ელექტრონული საშუალებით ხელმოწერილი დოკუმენტი დაიშვებოდეს როგორც სასამართლო მტკიცებულება. აუცილებლად უნდა აღნიშნოთ ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი ისეთი საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა, როგორიცაა ე.წ. „ტექნოლოგიური ნეიტრალურობა“ პირადი ხელმოწერის ნებისმიერი ელექტრონული ანალოგის სამართლებრივი აღიარება და მათი იურიდიული ძალა არ იზღუდება გამოყენებული ტექნოლოგიის მიხედვით. ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ უნდა პასუხობდეს გამოყენებული სამართლის მოთხოვნებს. სწორედ ამ მიზეზით ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფმა უარი თქვა „კრიპტოგრაფიული გასაღების“ ცნების შემოტანაზე „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელური კანონის პროექტში, რადგან იგი არ პასუხობდა ნეიტრალურობის პრინციპს, რომელიც პროექტის საფუძველი იყო.

ვინაიდან წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყნების გამოცდილება კომპანიების დისტანციურად რეგისტრაციის კუთხით, მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილოთ ამ ქვეყნების კანონმდებლობა და გამოცდილება ელექტრონულ ხელმოწერებთან და და მათ შორის კვალიფიციურ ხელმოწერებთან დაკავშირებით.

ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულების ნამდვილობისთვის წერილობითი ხელმოწერა არ არის სავალდებულო¹⁶. ესტონეთი როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა თანხვედრაში მოდის eIDAS (ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ნდობის სერვისები) რეგულაციასთან. აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს 2016 წლიდან და ადგენს, რომ ნებისმიერი ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტი დაშვებული უნდა იქნას სასამართლოში და მიეცეს იურიდიული ძალა. დაუშვებელია მისი დაუშვებლად ცნობა მხოლოდ იმ მოტივით რომ ის წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით ან არ აკმაყოფილებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოთხოვნებს. eIDAS (ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ნდობის სერვისები) რეგულაცია მიღებულ იქნა 2014 წლის 17 სექტემბერს და გამოიყენება 2016 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნულმა რეგულაციამ ჩაანაცვლა

¹⁶ ესტონეთის ვალდებულებითი სამართალი, მე-9 მუხლი პარაგრაფი 1, მე-11 მუხლი პარაგრაფი 1

ელექტრონული ხელმოწერების შესახებ დირექტივა (Electronic Signatures Directive 1999/93/EC). რეგულაცია განსაზღვრავს სამი სახის ელექტრონულ ხელმოწერას:

1. სტანდარტული ელექტრონული ხელმოწერა (SES – Standard Electronic Signature) არის ელექტრონული მონაცემები, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება სხვა ელექტრონულ მონაცემებს (მაგ.: დოკუმენტებს) და რომელიც გამოიყენება ხელმოწერის მიერ დოკუმენტის ელექტრონულად ხელმოსაწერად. მრავალი ელექტრონული ისტრუმენტი, მათ შორის პაროლები, პინ კოდები, სკანირებული ელექტრონული ხელმოწერები შეიძლება ჩაითვალოს სატანდარტულ ელექტრონულ ხელმოწერად.

2. გაუმჯობესებული ელექტრონული ხელმოწერა (AES – Advanced Electronic Signature) არის უნიკალურად დაკავშირებული და ხელმოწერის იდენტიფიცირებადი ელექტრონული ხელმოწერა. აღნიშნული ელექტრონული ხელმოწერა შექმნილია ელექტრონული ხელმოწერების შექმნის მონაცემების გამოყენებით და მისი გამოყენება შეუძლია მხოლოდ ხელმოწერს.

3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (QES – Qualified Electronic Signature) არის გაუმჯობესებული ელექტრონული ხელმოწერის (AES – Advanced Electronic Signature) უფრო მკაცრი ფორმა და პრინციპში ერთადერთი ფორმა, რომელიც უთანაბრდება წერილობით ხელმოწერას. რეგულაციის მიხედვით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონული ხელმოწერა კვალიფიციური ციფრული სერთიფიკატით და შექმნილია კვალიფიციური ხელმოწერის შექმნის მოწყობილობით (QSCD – Qualified Signature Creation Device)¹⁷.

შეგვიძლია მოვიყვანოთ მცირე მაგალითები სადაც ზემოთხსენებული სამი ტიპის ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია დაშვებულ იქნას ესტონეთში. სტანდარტული ელექტრონული ხელმოწერით (SES – Standard Electronic Signature) შესაძლებელია გაფორმდეს მხარეთა შორის იჯარის, გაუთქმელობის ხელშეკრულებები, ინვოისები, შესყიდვის დოკუმენტები და სხვა. უფრო განვითარებული სახის ელექტრონული ხელმოწერა, როგორიცაა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (QES – Qualified Electronic Signature) გამოიყენება შრომის კონტრაქტებში, გირავნობის, იპოთეკის, წილის დათმობის ხელშეკრულებებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის კანონმდებლობით ასევე არის შემთხვევები, როდესაც ელექტრონული ხელმოწერა დაუშვებელია და იმპერატიულად მოთხოვნილია ნოტარიული სერტიფიცირება.

სინგაპურში ელექტრონული ხელმოწერები გამოიყენება თითქმის ყველა სახის სამართლებრივი ტრანზაქციის დროს. ელექტრონული ხელმოწერების გამოყენება

¹⁷ Overview of eSignature Legality in Estonia <[Overview of eSignature Legality in Estonia - Dropbox Sign \(hellosign.com\)](https://www.hellosign.com)> Accessed 4th March 2023

მეტად სწრაფი ტემპით იზრდება სინგაპურში, რამდენადაც ადგილობრივი კომპანიები უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ აღნიშნული მეთოდის გამოყენებას. სინგაპურში ელექტრონული ხელმოწერები რეგულირდება ელექტრონული ტრანზაქციების აქტის (ETA – Electronic Transactions Act) მიხედვით. აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა 1998 წელს, ხოლო 2010 წელს მასში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც ჰარმონიზაციაში მოდის გაეროს ელექტრონული კომუნიკაციების გაიდლაინთან. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ელექტრონულ ხელმოწერასა და უფრო მეტად დაცულ ელექტრონულ ხელმოწერას, რომელიც გაცემულია სერტიფიცირებული სანდო მომსახურების პროვაიდერის მიერ¹⁸. იმისათვის რათა, ელექტრონული ხელმოწერა ჩაითვალოს ნამდვილად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. უნდა არსებობდეს ელექტრონულ ჩანაწერში ინფორმაციის მთლიანობის გარანტია, მისი პირველად შესრულების მომენტიდან.
2. პირს რომელისთვისაც განხორციელდა ელექტრონული ხელმოწერა უნდა შეეძლოს მისი წაკითხვა/გაცნობა
3. ის უნდა შეესაბამებოდეს ნებისმიერ დამატებით მოთხოვნას, რომლებიც განსაზღვრულია საჯარო დაწესებულების მიერ და რომელიც ზედამხედველობს ამ ჩანაწერების მიწოდებას ან შენარჩუნებას.

რაც შეეხება უფრო დაცულ ელექტრონულ ხელმოწერას:

1. ის უნდა იყოს უნიკალური ხელმოწერი პირისათვის
2. უნდა ხდებოდეს აღნიშნული პირის იდენტიფიცირება
3. უნდა იყოს მხოლოდ აღნიშნული პირის მიერ კონტროლირებადი
4. ისე უნდა იყოს დაკავშირებული ელექტრონულ ჩანაწერთან, რომ ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში მოხდეს მისი გაუქმება

უფრო მეტად დაცული ელექტრონული ხელმოწერა შეგვიძლია გავაიგივოთ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერასთან. ელექტრონული ტრანზაქციების აქტის (ETA – Electronic Transactions Act) ორივე, როგორც ელექტრონული ხელმოწერა, ასევე უფრო დაცული ელექტრონული ხელმოწერა ითვლება დასაშვებად სასამართლოში. უფრო დაცული ელექტრონული ხელმოწერა უთანაბრდება წერილობით ხელმოწერას და აქვს იგივე იურიდიული ძალა. ესტონეთის კანონმდებლობის მსგავსად სინგაპურშიც არსებობს სამართლებრივი ტრანზაქციები, როგორიცაა ანდერძი, მინდობილობა, საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც იმპერატიულად მოითხოვს წერილობით ხელმოწერას. ამის საპირისპიროდ ელექტრონული ხელმოწერები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამომხმარებლო კონტრაქტებში, კომერციულ კონტრაქტში, როგორიცაა იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებები და სხვა.

¹⁸ Electronic Signature Laws & Regulations – Singapore <https://helpx.adobe.com/> Accessed 4th March 2023

კორეის რესპუბლიკაში (შემდგომში „კორეა“) ელექტრონული ხელმოწერები ვალიდურია და დაშვებულია, როგორც წერილობითი ხელმოწერები, რამდენადაც ის ფართოდ მიღებული პრაქტიკაა ბიზნეს სამყაროში. კორეაში ელექტრონული ხელმოწერების ნამდვილობა განმტკიცებულია მდიდარ სასამართლო პრაქტიკიტაც, რამდენადაც სასამართლომ ბევრ შემთხვევაში ძალაში შესულად ცნო ელექტრონულად ხელმოწერილი დოკუმენტები. კორეაში ელექტრონული დოკუმენტების და ელექტრონული ტრანზაქციების განხორციელების სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს ელექტრონული დოკუმენტებისა და ტრანზაქციების შესახებ ჩარჩო აქტი Framework Act on Electronic Documents and Transactions (FAEDT), ხოლო ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესს ადგენს ელექტრონული ხელმოწერის აქტი (Electronic Signatures Act – ESA). ელექტრონული ხელმოწერის აქტში (Electronic Signatures Act – ESA) 2020 წლის 9 ივნისსს შევიდა რიგი ცვლილებები, ხოლო 2020 წლის 10 დეკემბერს ოფიციალურად შევიდა ძალაში. აღნიშნული აქტის მიხედვით ელექტრონულ ხელმოწერად ითვლება *„ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, რომელიც დამაგრებულია ან ლოგიკურად არის შერწყმული ელექტრონულ დოკუმენტზე, რათა მოხდეს ხელმოწერის იდენტიფიცირება და შეამოწმოს, რომ ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერილია აღნიშნული ხელმოწერის მიერ“*. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ცვლილებებამდე, აქტი განასხვავებდა ორი სახის ელექტრონულ ხელმოწერას ა) არასერტიფიცირებულ და ბ) სერტიფიცირებულ ხელმოწერებს. სერტიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერას სჭირდებოდა შესაბამისი სამინისტროს მიერ გაცემული ე.წ. საჯარო გასაღების სერტიფიკატი (Public Key Certificate). აქტში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სახელმწიფოს მიერ გაცემული საჯარო გასაღების სერტიფიკატი, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენდა დიდი პრობლემას საზოგადოებაში მისი მონოპოლიური ხასიათიდან გამომდინარე. დღევანდელი მონაცემებით ქვეყანაში გაჩნდა რამოდენიმე სერტიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერის პროვაიდერი კომპანია, რომელიდანაც მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი მისთვის სანდო პორვაიდერი. ამასთან ახელი საჯარო გასაღების სერტიფიკატი, შეიცვალა ტერმინით საერთო გასაღების სერტიფიკატი (Common Key Certificate). არც ელექტრონული დოკუმენტებისა და ტრანზაქციების შესახებ ჩარჩო აქტი Framework Act on Electronic Documents and Transactions (FAEDT) და არც ელექტრონული ხელმოწერის აქტი (Electronic Signatures Act – ESA) პირდაპირ არ კრძალავს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას რომელიმე ტიპის სამართლებრივ ტრანზაქციაში. ელექტრონული დოკუმენტებისა და ტრანზაქციების შესახებ ჩარჩო აქტის Framework Act on Electronic Documents and Transactions (FAEDT) მიხედვით, ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია მიჩნეულ იქნას დაუშვებლად, თუ რომელიმე

კონკრეტული კანონი მოითხოვს, რომ ხელმოწერა უნდა განხორციელდეს სხვა გზით გარდა ელექტრონული ხელმოწერისა¹⁹.

2.3. ელექტრონულად განხორციელებადი სერვისები

ციფრული მმართველობის ჭრილში, სამართლის დიგიტალიზაციაზე საუბრისას ელექტრონულად განხორციელებადი სერვისების დანერგვისას გათვალისწინებული უნდა იქნას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. მოკლედ ჩამოვთვლი ამ ფაქტორებს:

ა) მომხმარებლებზე, მოქალაქეზე ორიენტირებულობა (Citizen First/Citizen Centricity).

ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სერვისები ინდივიდზე უნდა იყოს ორიენტირებული. „მოქალაქეები საჯარო სამსახურის ცენტრში“ – ეს კონცეფცია უნდა მუშაობდეს ადმინისტრაციულ ორგანოებში, როგორც კარგი, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი პრინციპი. მოქალაქისათვის 24/7 ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ელექტრონული სერვისით დატვირთული ერთიანი

პორტალი. ასეთი კონცეფცია მოქალაქეებს ეხმარება იმის სრულფასოვნად გაცნობიერებაში, თუ რომელ ელექტრონულ სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო და ხელს უწყობს ამ სერვისების ფართომასშტაბიან გამოყენებას.

ბ) „მხოლოდ ერთხელ“ (Once only).

მოქალაქეები და იურიდიული პირები საჯარო დაწესებულებას მხოლოდ ერთხელ წარუდგენენ თავიანთ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპების გათვალისწინებით, ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებები ერთმანეთს უცვლიან მონაცემებს, შესაბამისად, მოქალაქეებს/იურიდიულ პირებს აღარ მოეთხოვებათ საჯარო დაწესებულებისათვის ინფორმაციის განმეორებით წარდგენა.

მოქალაქეებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებს ყოველ ჯერზე ახალი მომსახურების მისაღებად მიმართავენ, აღარ მოეთხოვებათ ინფორმაციის განმეორებით წარდგენა საჯარო დაწესებულებისთვის. ამის ნაცვლად, ერთხელ მიწოდებული მონაცემები ინახება შესაბამის ბაზაში და მონაცემთა უსაფრთხო გაცვლის პლატფორმის საშუალებით ინფორმაცია ერთი ადმინისტრაციული ორგანოდან გადაეგზავნება მომთხოვნ დაწესებულებას. ამ პრინციპის ფართომასშტაბიანი დანერგვით, მოქალაქეების ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებასთან ერთად იზრდება მათ მიერ პერსონალურ მონაცემებზე კონტროლის

¹⁹ Electronic Signature Laws & Regulations - South Korea <https://helpx.adobe.com/> Accessed 4th March 2023

შესაძლებლობაც და ეს ასევე ეხმარება საჯარო დაწესებულებებს უფრო სწრაფად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად მუშაობაში.

გ) „ერთი სარკმლის“ პრინციპი – ერთიანი საკონტაქტო არხი (Single Points of Contact)

ერთი სარკმლის პრინციპი უზრუნველყოფს ინფორმაციისა და სახელმწიფო ორგანოების სერვისების წვდომას საერთო პლატფორმაზე, მომხმარებლის უცვლელი ინტერფეისით. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ადგილმდებარეობის მიუხედავად ისარგებლოს პროდუქტებისა და სხვადასხვა საჯარო უწყებების სერვისების ფართო სპექტრით, ცენტრალური წვდომის საშუალებით.

შესაბამისად, ყველა მოქალაქეს შეუძლია, მაგალითად, ერთ ადგილზე მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია, საჯარო დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები, განცხადებების/საჩივრების ფორმები და ა.შ. ეს ზრდის სერვისზე ორიენტაციას და ზოგავს მომხმარებლის დროს და დანახარჯებს ტრანზაქციის დამუშავებისას.

ერთიანი საკონტაქტო წერტილი (PSCs) ეწოდება ელმმართველობის ონლაინ პორტალებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სერვისით დაინტერესებულ პირებს, მიიღონ საჭირო ინფორმაცია და ონლაინ შეასრულონ ადმინისტრაციული პროცედურები ერთ პორტალზე, ერთი საკონტაქტო რგოლის მეშვეობით.

დ) „უწინარეს ციფრულად“ (Digital First)

„უწინარეს ციფრულად“ სოციალურ-ეკონომიკური ზრდის გარანტიაა, რადგან ის ბიზნესსექტორში ახალი უნარების შეძენას და, ზოგადად, მოქალაქეებში ციფრული კულტურის განვითარებას უწყობს ხელს, რაც ჯამში გამოიწვევს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზარზე, ციფრულ პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა კი შესაძლოა, ინოვაციების საფუძველი გახდეს.

ე) „უპირობოდ ციფრული“ (Digital by default)

თითოეული სახელმწიფო უწყება ვალდებულია, ყოველი ახალი მომსახურების შექმნისას ალტერნატივის სახით უზრუნველყოს ციფრული მომსახურების არსებობა, ხოლო უკვე არსებული მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს ციფრულ

ფორმატშიც. მოქალაქეებისთვის ყველა სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონულად.

თუ მხოლოდ ზოგიერთ მომსახურებას ვაციფრულებთ, სხვებს კი – არა, ეს გამოიწვევს მომხმარებლების იმედგაცრუებას და შეამცირებს საჯარო სისტემისადმი ნდობას. შემოთავაზებული

სერვისები უნდა იყოს სრული და სრულყოფილი, მომხმარებელს მომსახურების მიღების პროცესის დასრულების მიზნით ოფისში მისვლა არ უნდა სჭირდებოდეს²⁰.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ნებისმიერი მოქმედი და ახალი იურიდიული სერვისის დანერგვა.

თავი 3. სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურები

3.1.1. სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და ახალი სამეწარმეო კანონმდებლობა

როგორც ცნობილია, სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალი იურიდიული პირის წარმოშობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. შესაბამისად, იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი წარმოშობილად, რეგისტრირებული მონაცემები შეცვლილად, რეგისტრაცია შეწყვეტილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

რეგისტრაცია გულისხმობს სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემები.

²⁰ გაბისონია ზ, გაბრიელეშვილი გ., გაგნიძე ნ., პაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა (რედ. ქ. ქარდავა), თბ., 2021; გვ. 11-12.

საქართველოში იურიდიული პირების რეესტრმა განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. 1994 წელს, როდესაც პირველად იქნა მიღებული „მეწარმეთა შესახებ კანონი“ (ამოქმედდა 1995 წლიდან), არც ქვეყნის კონსტიტუცია, არც სამოქალაქო კოდექსი და არც ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი არსებობდა. შესაბამისად, რეესტრის ფორმირებას წლები დაჭირდა. პირველ წლებში, იურიდიული პირების რეგისტრაციებს გერმანული საკორპორაციო სამართლის მსგავსად, სასამართლოები ახორციელებდნენ. 2008 წლის ე.წ. სამეწარმეო კანონმდებლობის რეფორმის დროს ერთი მხრივ გამარტივდა იურიდიული პირების რეგისტრაცია, მაგრამ მეორე მხრივ მოხდა არსებული კლასიკური გერმანული საკორპორაციო სამართლის მოდელში ანგლო-საქსონური ელემენტების შეტანა, რამაც ბევრი სირთულე წარმოშვა. იყო პერიოდი, როცა იურიდიული პირების რეესტრი, საგადასახადო რეგისტრაციასთან იქნა გათანაბრებული და რეესტრის წარმოება საგადასახადო ორგანოებს დაეკისრა.

მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ იურიდიული პირების რეგისტრაცია და რეესტრის წარმოება გაცილებით რთული და მნიშვნელოვანი იურიდიული რისკების შემცველი იყო, ვიდრე მისთვის მხოლოდ საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება.

შესაბამისად, სრულიად სამართლიანად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოება იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადავიდა.

2021 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა არა მარტო სადამფუძნებლო დოკუმენტაციის წარდგენის, არამედ სარეგისტრაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №797-ით დამტკიცდა „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია, რომლის პირველმა მუხლმა განსაზღვრა, რომ „ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის (შემდგომ – რეესტრი) წარმოების და რეგისტრაციის პირობებს, იურიდიული მისამართისა და ელექტრონული მისამართის სტანდარტს, ინფორმაციის გაცემის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესსა და პირობებს“.

ინსტრუქციის მე-3 მუხლის (განცხადებისა და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენა) მიხედვით, „განცხადება და სარეგისტრაციო დოკუმენტაცია რეგისტრაციისა და ინფორმაციის გაცემის მიზნით წარედგინება ელექტრონულად (ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის – My.gov.ge-ს მეშვეობით) სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – იუსტიციის სახლს (შემდგომ – იუსტიციის სახლი) ან სხვა ავტორიზებულ პირს პირადად, ან ფოსტის მეშვეობით. განცხადებაზე განმცხადებლის მიერ ხელმოწერა უნდა შესრულდეს სააგენტოს, იუსტიციის სახლის ან ავტორიზებული პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. განცხადების ფოსტის მეშვეობით ან ელექტრონულად წარდგენისას მასზე ხელმოწერა უნდა დამოწმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. იუსტიციის სისტემის არსებული ონლაინ სერვისები my.gov.ge-ს პორტალზე და კომპანიის ონლაინ რეგისტრაციის ინოვაციური სერვისის დანერგვა


დღეს არსებული ელექტრონული სერვისები იუსტიციის სისტემაში დანერგილია ელექტრონული სერვისების ელექტრონული პორტალ my.gov.ge-ს მეშვეობით²¹. იგი მოიცავს ისეთ სერვისებს, როგორიცაა ძირითად სერვისები, ქონების რეგისტრაციის, ბიზნესის რეგისტრაციის და სხვა სერვისებს.

ვინაიდან კვლევის თამატიკას წარმოადგენს კომპანიების და ა.ა.ი.პ.-ონლაინ რეგისტრაციის სამართლებრივი საკითხები, ჩვენთვის საინტერესო მომსახურების სეგმენტს ბიზნესის რეგისტრაცია წარმოადგენს.


ბიზნესის რეგისტრაცია პორტალზე დღეისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

²¹ <https://www.my.gov.ge/ka-ge/services/10>


იმისათვის, რომ მომხმარებელმა აღნიშნული სერვისით ისარგებლოს, აუცილებელია შესვლა ორი ალტერნატიული საშუალებით: ახალი პირადობის მოწმობით (ე.წ. ID ბარათით ან სახელით და პაროლით:



შესვლის შემდეგ პროგრამა ითხოვს პირის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის აუცილებელი პროცედურის გავლას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ID ბარათისა და მისი წამკითხველის (რიდერის) მეშვეობით, რომლებიც სპეციალური პროგრამის მეშვეობით ამოწმებს პირს და ითხოვს იუსტიციის სისტემის მიერ რიდერთან ერთად გაცემული კოდებით მის დადასტურებას:



ვერიფიკაციის შემდეგ იხსნება პორტალი და ბიზნესის სერვისები:



ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ სერვისებში პირველ ადგილას უნდა განთავსდეს ახალი სერვისი - „ბიზნესის რეგისტრაცია“ ან „ახალი კომპანიის რეგისტრაცია“, ამ სერვისის

დასანერგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მცირე ტექნოლოგიური ტრანსფორმირების შემდეგ პირველ ეტაპზე ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ს ბიზნესის სერვისებში პირველ ეტაპზე „ჩაშენდეს“ კომპანიის დღეს არსებული ვებ პროგრამა, რომელზე წვდომაც აქვთ იუსტიციის სახლის თანამშრომლებს და მოქმედ ნოტარიუსებს. აღნიშნულ პროგრამის ფილტრაციის (პროგრამიდან არასაჭირო ან კონფიდენციური ველების ამოღება ან დამატება) შემდეგ ერთ სერვისად წვდომის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამის მოთხოვნების შევსება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

სერვისის განვითარების მეორე ეტაპზე, სადამფუძნებლო დოკუმენტის PDF ფაილების ატვირთვის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს დამატებითი პროგრამის ჩაშენება, რომლის დახმარებითაც სადამფუძნებლო დოკუმენტები (სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდება და ა.შ) შესაძლებელია პროგრამაშივე გაიხსნას და ველების სახით მოხდეს მომხმარებლის მიერ მისთვის არასტანდარტული მუხლების კორექტირება, რომელიც საბოლოო ჯამში პროგრამის მიერვე დაგენერირდება.

სერვისის განვითარების მესამე ეტაპზე, პროგრამაში შესაძლებელია ჩაშენდეს ხელოვნური ინტელექტის პროგრამული კომპონენტი, რომელიც სადამფუძნებლო დოკუმენტის არასტანდარტული მუხლების ფორმირებისას მომხმარებელს დაეხმარება ნორმის იურიდიული ფორმულირების ალტერნატივების მიწოდებაში.

პირველ ეტაპზე რეკომენდირებულია არსებული ტექნოლოგიური საშუალებით - ID ბარათის ან ბინადრობის მოწმობითა და რიდერის გამოყენებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმება.

განვითარების შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია პირის იდენტიფიცირებისა და დოკუმენტების დამოწმების სხვა, უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანაც (სახის ვიზუალუზაციის და სხვა ტიპის პროგრამები).

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის დასკვნით ფაზაში საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკითხა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს, სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლები. მათთან ინტერვიუმ გამოკვეთა აღნიშნული ინოვაციური სერვისის დანერგვის შესაძლებლობა და მზაობა, უფრო განვითარდება ერთიანი ელექტრონული პორტალის შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ 2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში (EU) 2019/1151, რომელმაც შეცვალა დირექტივა (EU) 2017/1132 „ციფრული ინსტრუმენტებისა და პროცესების გამოყენებას კომპანიების სამართალში“, ნათლად ჩამოყალიბდა ის პრინციპები, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ევროპის ქვეყნებში ციფრული სერვისები.

გარდა ამისა, დამატებით შესწავლილი იქნა მაღალტექნოლოგიური ქვეყნების (ესტონეთი, სინგაპური, სამხრეთ კორეა) კანონმდებლობა და მსგავსი ინოვაციური ტექნოლოგიური სერვისების მოდელები.

ქვემოთ განხილული აღნიშნული დირექტივა და მაღალტექნოლოგიური ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლა ნათლად მოწმობს, რომ საქართველოს იუსტიციის სისტემაში დანერგილი და დასანერგი ინოვაციური სერვისები სრულ თანხვედრაშია მათთან.

3.3. დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის სამართლებრივ-ტექნოლოგიური შესაძლებლობები (ევროკავშირის 2019 წლის დირექტივა)

როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, თანამედროვე სამყარო და ბიზნესი გაციფრულებისკენ ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება. მეწარმე სუბიექტების ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობის აქტიურ დანერგვაზე მუშაობს ევროკავშირიც. 2019 წლის დირექტივა ციფრული ინსტრუმენტებისა და პროცესების შესახებ ამის ნათელი მაგალითია²². აღნიშნული დირექტივა ასევე მოიხსენიება, როგორც „გაციფრულების, დიგიტალიზაციის“ დირექტივა და ძალაშია 2019 წლის 31 ივლისიდან, რომლის სრული იმპლემენტაცია უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 1 აგვისტოს. დირექტივის მიხედვით ხსენებული ვადის გაგრძელების უფლება წევრ სახელმწიფოებს იმპლემენტაციის სირთულიდან გამომდინარე შეუძლიათ კიდევ 1 (ერთი) წლით.

აღნიშნული ინიციატივა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ევროკავშირის ინიციატივაა ბოლო ათწლეულების მანძილზე, რომელსაც უდიდესი მხარდაჭერა ქონდა როგორც ევროპის საბჭოში, ასევე ევროპარლამენტსა და ევროპის ბიზნესის ასოციაციის მიერ. მიზანი ერთია, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივაზე დაყრდნობით შეიმუშავონ მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციის ონლაინ მეთოდი, ისე რომ მოქალაქეს არ დასჭირდეს ფიზიკური ვიზიტი სამეწარმეო რეესტრში, ნოტარიუსთან, ხოლო სასამართლო რეგისტრაციის შემთხვევაში სასამართლოში²³.

დირექტივის მიხედვით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეეძლებათ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია და მასში მონაცემების ცვლილება სრულიად ონლაინ, ნებისმიერი ფიზიკური ვიზიტისა და შუამავლების გარეშე, თუმცა სამეწარმეო

²² DIRECTIVE (EU) 2019/1151 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 June 2019 amending Directive (EU) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law <[Directive \(EU\) 2019/ of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 amending Directive \(EU\) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law \(europa.eu\)](#)> Accessed 6th March 2023

²³ ETUC GUIDELINES DIRECTIVE ON DIGITAL TOOLS AND PROCESSES IN COMPANY LAW (Brussels 2021) Page 6

რეესტრს რიგ შემთხვევაში კვლავ რჩება უფლება მის მიერ პოტენციური რისკების დანახვის შემთხვევაში პირს მოთხოვოს მარეგისტრირებელ ორგანოში ფიზიკური გამოცხადება. იურიდიული პირის მიერ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია გარკვეულწილად პრობლემური საკითხია, ვინაიდან მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა შეეძლოს შემოწმება აღნიშნული იურიდიული პირი მართლა არსებობს თუ არა. ამის დასადასტურებლად ძირითად შემთხვევებში წარმოსადგენია სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რომელიც უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული (ნოტარიზებული ან აპოსტილიზებული), რაც ონლაინ რეგისტრაციის პროცესს ართულებს. აქედან გამომდინარე დირექტივაში პირდაპირ წერია, რომ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები დოკუმენტების ავთენტურობასა და სიზუსტესთან დაკავშირებით რჩება უცვლელი. დირექტივის მიხედვით იდენტიფიკაციისათვის საჭირო იქნება ელექტრონული პირადობის მოწმობა, ელექტრონული ხელმოწერა ან ვიდეო კონფერენცია. ვიდეო კონფერენციის მეშვეობით იდენტიფიკაციის ნაწილში შესაძლებელია აქტიურად ჩართულები იყვნენ ნოტარიუსები.

დირექტივის ამოცანაა, რომ დირექტივის წევრი სახელმწიფოების მიერ სრულად იმპლემენტაციის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას არ უნდა დასჭირდეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე მეტი, მას შემდეგ რაც გადახდილი იქნება დადგენილი მოსაკრებელი და ყველა დოკუმენტი ატვირთული იქნება შესაბამის პორტალზე²⁴.

დირექტივა არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შეცვალონ მათი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის წესი, თუმცა ონლაინ კომპანიის რეგისტრაციის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ და დანერგონ მინიმალური სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს რომ განმცხადებელი უნდა იყოს ქმედუნარიანი და მისი იდენტიფიკაციის საშუალებები უნდა იყოს დაცული და გამართული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ ონლაინ რეგისტრაცია გაავრცელონ მხოლოდ კონკრეტული სახის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმის მეწარმე სუბიექტზე (მაგალითად მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს) და ჩათვალონ, რომ სხვა უფრო რთული სტრუქტურული მოწყობის მქონე მეწარმე სუბიექტების რეგისტრაცია ონლაინ არ განახორციელონ.

უდავოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული დირექტივა ტექნოლოგიური კუთხით მეტად წინ გადადგმული ნაბიჯია და რეგისტრაციის პროცესში არსებულ დროს და ხარჯებს საგრძნობლად შეამცირებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რიგი გამოწვევები. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოწვევა შესაძლებელია იყოს ე.წ. საფოსტო ყუთის კომპანიები (Letter-Box Companies), ვინაიდან ონლაინ რეგისტრაცია კიდევ უფრო გაამარტივებს მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის საკითხს. აღნიშნული

²⁴ Online formation of corporations The requirements of the Digitalization Directive at a glance <[Online formation | Digitalization Directive \(deloitte.com\)](#)> Accessed 6th March 2023

ტიპის კომპანიებს დაინტერესებული პირები არეგისტრირებენ ისეთ ქვეყნებში სადაც მათ არავითარი იურიდიული და ფინანსური კავშირი რეალურად არ გააჩნიათ და შესაბამისად ხშირია შემთხვევები, როდესაც მათ იყენებ გადასახადების თავის არიდების მიზნით²⁵. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი წევრმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად მაღალი სტანდარტით უზრუნველყონ მეწარმე სბუექტის რეგისტრაციის დროს დაინტერესებული პირების იდენტიფიკაცია და შემოწმება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული დირექტივა სრულად ჰარმონიზაციაშია ჩვენი საგრანტო პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან რაც გულისხმობს ციფრული მმართველობის განხორციელების ჭრილში ინოვაციური სერვისის დანერგვას - სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურების სრულად ელექტრონიზებას (განმცხადებლების იუსტიციის სახლში ვიზიტის გარეშე).

თავი 4. კომპანიების რეგისტრაციის კანონმდებლობა მაღალტექნოლოგიურ (HiTech) ქვეყნებში

4.1. ესტონეთი

ევროპის კონტინენტზე ესტონეთის სახელი ხშირ შემთხვევაში ასოცირდება თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან. ეს პატარა, 1.3 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ევროპული ქვეყანა მუდმივად მოწინავე ადგილს იკავებს ბიზნესის კეთების სიმარტივის, ეკონომიკის განვითარების და ღიაობის ინდექსებში. ესტონური ელექტრონული გადაჭრის გზები, როგორიცაა ციფრული ხელმოწერა, ელექტრონული გადასახადები, ბიზნესის ონლაინ რეგისტრაცია და საჯარო დოკუმენტაციის ციფრული ხელმისაწვდომობა მეტად გამჭვირვალეს და ეფექტურს ხდის ესტონურ ბიუროკრაციას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლიდან ესტონეთი არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და მისი კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროპულ კანონმდებლობასთან. 2020 წლის დუინგ ბიზნესის რეიტინგში ესტონეთი ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-18 ადგილზეა²⁶.

ესტონეთის ელექტრონული ბიზნეს რეესტრი განვითარებული და დაცული პლატფორმაა, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს დაარეგისტრიროს სასურველი იურიდიული პირი ონლაინ, რამოდენიმე წუთში და თავიდან აირიდოს ნოტარიუსთან და კომერციულ რეესტრში ფიზიკურად გამოცხადება. 2011 წლიდან, ელექტრონული ბიზნეს რეესტრის გამოყენების შედეგად, რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული

²⁵ ETUC GUIDELINES DIRECTIVE ON DIGITAL TOOLS AND PROCESSES IN COMPANY LAW (Brussels 2021) Page 7

²⁶ Ease of Doing Business Rankings <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 23rd February 2023

დრო 5 (ხუთი) საათიდან რამოდენიმე საათამდე შემცირდა²⁷. ელექტრონული ბიზნეს რეესტრის მეშვეობით შესაძლებელია დააფუძნო კომპანია, შეცვალო კომპანიის არსებული მონაცემები, დაიწყოს კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი და წაშალო კომპანია რეესტრიდან. აღნიშნული პროცედურების განსახორციელებლად საჭიროა მეწარმე ფლობდეს ესტონური ID - ბარათს, Mobile (მობილური) – ID -ს ან ელექტრონული ბინადრობის მოწმობას. უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთში არსებობს ელექტრონული ბინადრობის მოწმობის გაცემის პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ისარგებლონ ელექტრონული ბიზნეს რეესტრით და დისტანციურად მოახდინონ კომპანიის რეგისტრაცია.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რას ნიშნავს Mobile – ID და როგორ ხდება მისი გამოყენება ესტონეთში. Mobile – ID არის სიმ ბარათი, რომელიც გაიცემა შესაბამისი ლიცენზირებული მობილური ოპერატორების მიერ და თავსდება პირის მობილურ ტელეფონში. შესაბამისად Mobile – ID პლასტიკური ID ბარათისგან განსხვავებით არის უფრო დაცული ვინაიდან ის მუდმივად თქვენს ტელეფონშია და ნებისმიერ დროს ტელეფონის გამოცვლის შემთხვევაში შეგიძლიათ უბრალოდ ამოიღოთ სიმ ბარათი და ჩადოთ ახალ ტელეფონში. ამასთან Mobile – ID მუდმივად თქვენს ტელეფონში ინახება და შესაბამისად ფიზიკური ID ბარათისგან განსხვავებით ვერ მოხდება მისი დაზიანება, დაკარგვა ან სხვა ნებისმიერი გზით განადგურება²⁸. Mobile – ID - ის უსაფრთხოება დაცულია უმაღლეს დონეზე ვინაიდან ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელება დაშიფრულია და მოითხოვს პინ კოდს. ესტონეთში Mobile – ID - ის მეშვეობით გაკეთებული ხელმოწერა უთანაბრდება საკუთარი ხელით გაკეთებულ ხელმოწერას. ესტონეთში Mobile – ID - ის ვალიდურობა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით, რომლის გასვლის შემდგომაც პირმა სურვილის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მისი ხელახლა განახლება.

ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ელექტრონული ბინადრობის მოწმობის გაცემის და გამოყენების არეალი, ვინაიდან აღნიშნული ბარათის გამოყენებით პირი უფლებამოსილია დისტანციურად დაარეგისტრიროს მისთვის სასურველი იურიდიული პირი, ისარგებლოს საბანკო მომსახურებებით, გადაიხადოს და დაადეკლარიროს გადასახადები ონლაინ და ა.შ. ელექტრონული ბინადრობის მოწმობა წარმოადგენს ციფრული ID ბარათის სახეობას, რომელიც პირს აძლევს საშუალებას ისარგებლოს მთავრობის ვებ-გვერდებით, უზრუნველყოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება და ციფრულად მოაწეროს ხელი დოკუმენტებს. 2014 წელს პროგრამის დაფუძნებიდან დღემდე, აღნიშნულმა ბინადრობის მოწმობამ 85,000 მეწარმეს მისცა საშუალება ონლაინ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ემართა და

²⁷ Ease of Doing Business <https://e-estonia.com/> Accessed 23rd February 2023

²⁸ What is Mobile-ID? < <https://www.mobile-id.lt/> > Accessed 23rd February 2023

დაერეგისტრირებინა 18,000 ევროკავშირში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი²⁹. ელექტრონული ბინადრობის მოწმობის მსურველები ძირითადად არიან სამუშაო მომთაბარეები (Digital Nomads), ფრილანსერები, კონტენტ კრეატორები, სტარტაპ დამფუძნებლები და სხვა მრავალი. მარტივი მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პირობითად ინდოელი მეწარმე რომელიც სინგაპურიდან მართავს ესტონეთში ელექტრონული ბინადრობის მოწმობით დაფუძნებულ კომპანიას და ციფრულად აწერს ხელს ბერლინში მისი პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებას. ელექტრონული ბინადრობის მოწმობის საკითხს განიხილავს ესტონეთის პოლიცია და სასაზღვრო დაცვა, რომლებიც განცხადების გაკეთების შემდგომ უკავშირდებიან განმცხადებელს და მოითხოვენ საჭირო ინფორმაციის წარდგენას. იმისათვის რათა ზემოთხსენებულმა ორგანომ განიხილოს განაცხადი, მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ განმცხადებელს უნდა ქონდეს სუფთა კრიმინალური ისტორია და არ უნდა იყოს ნასამართლევი. ელექტრონული ბინადრობის მოწმობის გაცემა ხდება 6 (ექვსი) თვის ვადაში და სახელმწიფო მოსაკრებელი შეადგენს 120 (ასოცი) ევროს.

ესტონეთში ბიზნესის რეგისტრაციას ახორციელებს რეესტრისა და საინფორმაციო სისტემების ცენტრი (Centre of Registers and Information Systems – RIK). მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ელექტრონულად თავად დაინტერესებული მეწარმის მიერ, ასევე ნოტარიუსის საშუალებით. კომპანიის რეგისტრაციისათვის სახელმწიფო მოსაკრებელი ელექტრონულად რეგისტრაციის შემთხვევაში შეადგენს 190 (ასოთხმოცდაათი) ევროს, ხოლო ნოტარიუსის მეშვეობით 145 (ასორმოდახუთი) ევროს. მეწარმის მიერ კომპანიის რეგისტრაციის სურვილის შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა შეამოწმოს მის მიერ არჩეული სახელის არჩევის შესაძლებლობა. სახელის შემოწმება შესაძლებელია ელექტრონული ბიზნეს რეესტრის ვებ-გვერდზე <https://www.rik.ee/>).



*რეესტრისა და საინფორმაციო სისტემების ცენტრი (<https://www.rik.ee/>) - მთავარი გვერდი

²⁹ What is Estonian e-Residency and how to take advantage of it? <[What is Estonian e-Residency and how to take advantage of it? | Xolo](https://www.xolo.com/en/what-is-estonian-e-residency-and-how-to-take-advantage-of-it/)> Accessed 23rd February 2023

ესტონური კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება კომპანიას ქონდეს სხვა კომპანიის მსგავსი სახელი და შესაბამისად ყველა სახელი უნდა იყოს განსხვავებული. ამასთან დაინტერესებული მეწარმე ვალდებულია ქონდეს იურიდიული მისამართი და წესდება. მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული ბიზნეს რეესტრის ვებ-გვერდზე არსებული წესდების დრაფტით იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დრაფტი მისთვის მისაღებია და არ საჭიროებს დამატებით პარტნიორთა მიერ შეთანხმებული პუნქტების გათვალისწინებას. იმ შემთხვევაში თუ კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღემატება 25,000 ევროს, მაშინ მეწარმე ვალდებულია აღნიშნული თანხა განათავსოს ბანკში. თუ საწესდებო კაპიტალის ოდენობა 25,000 ევროზე ნაკლებია, მაშინ წესდებით შეიძლება იქნას გათვალისწინებული, რომ პარტნიორებს არ აქვთ კაპიტალის შევსების გადახდის წინარე ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში პარტნიორი არ შეავსებს საწესდებო კაპიტალის, მაგრამ პერსონალურად იქნება შეუვსებელი კაპიტალის ოდენობით პასუხისმგებელი. ბოლო წლების განმავლობაში, 70 % ზე მეტი მეწარმე სუბიექტების რეგისტრაცია ხორციელდება აღნიშნული წესით³⁰.

კომპანიის რეგისტრაციის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის დასაბეგრი ბრუნვის ოდენობა, საქონლის იმპორტის გამოკლებით, შეადგენს 40,000 (ორმოცი ათასი) ევროზე მეტს, მეწარმე სუბიექტი ვალდებულია ესტონეთის ეროვნული საგადასახადო და საბაჟო სააგენტოში (Estonian National Tax and Customs Board) დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ, ზემოთ განხილული პროცედურებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.2. სინგაპური

უკვე მრავალი წელია სინგაპური ინვესტორთათვის ერთ-ერთი პირველი არჩევანია საერთაშორისო ბიზნესის კეთების კუთხით. გამოცდილი კადრების სიმრავლე, ეფექტური საგადასახადო პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მკაცრი მარეგულირებელი კანონმდებლობა და ღია ეკონომიკა ხდის სინგაპურს ასე მიმზიდველს ინვესტორთათვის³¹. უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპური მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილ ინდექსებში ყოველწლიურად მოწინავე ადგილს იკავებს. 2020 წლის დუინგ ბიზნესის რეიტინგში სინგაპური ბიზნესის კეთების


³⁰ How to Establish a Company in Estonia <https://www.koda.ee/> Accessed 23rd February 2023

³¹ Drew Donnelly, The Advantages of Doing Business in Singapore (October 28, 2022) <https://nhglobalpartners.com/> Accessed 22nd February 2023

სიმარტივით ახალი ზელანდიის შემდგომ მე-2 ადგილზეა³². სინგაპური წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ეკონომიკას და სხვა ბევრ ბიზნეს ჰაბთან შედარებით სინგაპურში კომპანიის რეგისტრაცია გაცილებით მარტივია და სწრაფი. კომპანიის რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ და ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ ჭირდება სულ რაღაც 1 (ერთი) დღე³³.

სინგაპურში ბიზნესის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს the Accounting and Corporate Regulatory Authority (ACRA) - საბუღალტრო და კორპორატიული მარეგულირებელი ორგანო, ხოლო ონლაინ ბიზნესის რეგისტრაცია ხორციელდება **Bizfile+** პლატფორმის მეშვეობით. 2004 წლამდე, აღნიშნული პლატფორმის შექმნამდე კომპანიის რეგისტრაციისთვის დაინტერესებულ პირებს თავად უწევდათ მარეგულირებელ ორგანოში ვიზიტი და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა. დღევანდელი მონაცემებით, BizFile+-ის მეშვეობით ბიზნეს 400-მდე სერვისზე აქვს ონლაინ წვდომა.

სინგაპურში კომპანიის რეგისტრაციისთვის საჭიროა დაინტერესებულ პირს Bizfile+ - ზე ქონდეს გახსნილი პირადი გვერდი. პირადი გვერდის შესაქმნელად საჭიროა დაინტერესებულმა პირმა, ე.წ იუზერმა გამოიყენოს SingPass - სინგაპურის პირადი წვდომის პაროლი, რომელიც წარმოადგენს ციფრულ ხელმოწერას და გამოიყენება პირის იდენტიფიკაციისათვის. აღნიშნული SingPass- ი აქვთ მხოლოდ სინგაპურის რეზიდენტ პირებს, ხოლო უცხოელებს, რომელთაც სინგაპურის რეზიდენტობა არ გააჩნიათ, შეიძლიათ დაუკავშირდნენ ადგილობრივ კორპორატიულ სერვის პროვაიდერებს და მათი Bizfile+ - ის გამოყენებით უზრუნველყონ კომპანიის რეგისტრაცია³⁴.



³² The world Bank, Ease of Doing Business in Singapore <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 22nd February 2023

³³ Why Singapore is Preferred by Foreign Companies <https://www.rikvin.com/> Accessed 22nd February 2023

³⁴ Piloto, What is ACRA BizFile in Singapore and Why You Need It (January 13, 2023) <<https://www.pilotoasia.com/>> Accessed 22nd February 2023

კომპანიის რეგისტრაციისთვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს კომპანიის სახელის რეზერვაცია. ახალ სახელზე განაცხადი და მასზე რეზერვაცია ხორციელდება ზემოთხსენებული პლატფორმის მეშვეობით. თითოეული დარეზერვებული სახელისთვის მოსაკრებელი წარმოადგენს 15 (თხუთმეტი) სინგაპურულ დოლარს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განმცხადებელს უფლება აქვს გადაიხადოს სახელის რეზერვაციის საფასური და განაგრძოს კომპანიის რეგისტრაცია ან დაარეზერვოს სახელი და კომპანიის რეგისტრაცია განახორციელოს მოგვიანებით. უმრავლეს შემთხვევაში განაცხადის დადასტურება ხდება განცხადების გაკეთებიდან რამოდენიმე წუთში. თუმცა არის შემთხვევები როდესაც სახელის დამატებით შემოწმებაა საჭირო და ხდება მისი სხვა სააგენტოში გადამისამართება. ასეთ დროს განცხადების დადასტურებას შესაძლოა დასჭირდეს 14 სამუშაო დღიდან 2 თვემდე. მას შემდეგ რაც მოხდება სახელის დადასტურება, რეზერვაციის ვადა შედაგენს 120 (ას ოცი) დღეს³⁵.

იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა დაარეგისტრიროს სინგაპურში კომპანია საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია კომპანიის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შესახებ
- კომპანიის სახელწოდება
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ
- კომპანიის დირექტორის შესახებ ინფორმაცია. კომპანიის დირექტორი შესაძლებელია იყოს, უცხოელი, სინგაპურის მოქალაქე ან სინგაპურის მუდმივი ბინადრობის მქონე პირი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანიას უნდა ყავდეს მინიმუმ 1 (ერთი) დირექტორი, რომელიც არის სინგაპურის მოქალაქე, მუშაობის უფლების მქონე (Employment Pass Holder) ან მუდმივი ბინადრობის მქონე.
- ინფორმაცია დამფუძნებელთა შესახებ. დამფუძნებელი შესაძლებელია იყოს უცხოელი, ადგილობრივი პარტნიორისა და დამფუძნებლის გარეშე.
- საწესდებო კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება სიმბოლური 1 სინგაპური დოლარით და მისი გაზრდა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.
- იურიდიული მისამართი, სავალდებულოა იყოს ადგილობრივი, სინგაპურში რეგისტრირებული მისამართი³⁶.
- კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი (ე.წ. კონსტიტუცია)

³⁵ The world Bank, Ease of Doing Business in Singapore <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 22nd February 2023

³⁶ Singapore Company Registration: A Comprehensive Guide < <https://www.guidemesingapore.com/>> Accessed 22nd February 2023

კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტის, ე.წ. კონსტიტუციის შედგენა ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია თავსატეხი გახდეს განმცხადებლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლამდე განმცხადებელს მოეთხოვებოდა 2 (ორი) სადამფუძნებლო დოკუმენტის, მემორანდუმის და წესდების შედგენა (Memorandum and Articles of Association), მაგრამ 2014 წლიდან აღნიშნული მოთხოვნა შეიცვალა და (ACRA) - საბუღალტრო და კორპორატიული მარეგულირებელი ორგანო მოითხოვს ამ ორი დოკუმენტის 1 (ერთი) დოკუმენტში გაერთიანებას. მემორანდუმი (MOA – Memorandum of Association) აღწერდა კომპანიის კორპორატიულ სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს. მეორეს მხრივ წესდება (AOA – Articles of Association) განსაზღვრავდა კომპანიის შიდა ადმინისტრაციულ რეგულაციებს, როგორიცაა დირექტორატის პასუხისმგებლობის საკითხი, პარტნიორთა კრების მოწვევის წესი და ა.შ.³⁷. დღევანდელი მონაცემებით ზემოთხსენებული ორი დოკუმენტით განსაზღვრული ინფორმაცია ერთდროულად ერთ დოკუმენტში, რომელსაც ე.წ. კომპანიის კონსტიტუცია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში განმცხადებელი თავად ვერ ახერხებს კომპანიის კონსტიტუციის შედგენას და უწევს საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება. სინგაპურში კომპანიის რეგისტრაციის საფასური შეადგენს 300 (სამასი) სინგაპურულ დოლარს.

კომპანიის წარმატებული რეგისტრაციისთანავე (ACRA) - საბუღალტრო და კორპორატიული მარეგულირებელი ორგანო განმცხადებელს მის მიერ მითითებულ ელ-ფოსტაზე უგზავნის ელექტრონულ წერილს, რომელიც მოიცავს კომპანიის რეგისტრაციის ნომერს. აღნიშნული წერილი სინგაპურში განიხილება, როგორც ოფიციალური კომპანიის ამონაწერი. ამონაწერის ბეჭდური ვერსია ავტომატურად აღარ გაიცემა. სურვილის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია ონლაინ გააკეთოს განაცხადი და მეორე დღეს (ACRA) - საბუღალტრო და კორპორატიული მარეგულირებელი ორგანოს ოფისში მიიღოს ბეჭდური ვერსია. თითო ბეჭდური ამონაწერის საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) სინგაპურულ დოლარს.

კომპანიის წარმატებით რეგისტრაციის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის დაგეგმილი წლიური ბრუნვა სცდება 1 (ერთი) მილიონ სინგაპურულ დოლარს, მაშინ კომპანია ვალდებულია სინგაპურის შემოსავლების ორგანოში- Inland Revenue Authority of Singapore (IRAS) დარეგისტრირდეს საქონლისა დამომსახურების გადასახადის გადამხდელად goods and services tax (GST). აღნიშნული გადასახადი იგივეა რაც დღგ, უბრალოდ სინგაპურში დღგ-ის ნაცვლად იყენებენ აღნიშნულ ტერმინს. შემოსავლების ორგანოში საქონლისა და მომსახურების გადასახადის

³⁷ Singapore's Company Constitution vs Memorandum and Articles of Association < <https://www.wealthbridgecs.com/>> Accessed 22nd February 2023

გადამხდელად რეგისტრაცია ხორციელდება იგივე პროცედურით რაც ზემოთ იქნა აღწერილი.

4.3. სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეის რესპუბლიკა (შემდგომში: კორეა) არის აზიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და გავლენიანი ქვეყანა, რაც განპირობებულია მათ მიერ პრობლემების სწრაფი და ეფექტური გადაჭრის გზებით³⁸. კორეა არის სიდიდით მე-13 ეკონომიკა და მე-9 ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიოში³⁹. ინოვაციები და ტექნოლოგიური განვითარება ხშირად ასოცირდება კორეის სახელთან, რაც მეტად მიმზიდველს ხდის ქვეყანას პოტენციური ინვესტორებისათვის⁴⁰. ბლუმბერგის 2021 წლის რეიტინგების მიხედვით, კორეა პირველ ადგილს იკავებს როგორც მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური ქვეყანა მსოფლიოში⁴¹. 2020 წლის დუინგ ბიზნესის რეიტინგში კორეა ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-5 ადგილზეა⁴².

მიუხედავად იმისა, რომ კორეაში ბიზნესის რეგისტრაცია ონლაინ არის შესაძლებელი, პროცესი მაინც კომპლექსურია და ხშირ შემთხვევაში მოითხოვს ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიების დახმარებას. მცირე და საშუალო ზომის მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციას სჭირდება დაახლოებით სამიდან ოთხ სამუშაო დღემდე და შესაძლებელია ონლაინ პლატფორმა <https://www.startbiz.go.kr/> - ის მეშვეობით. აღნიშნული პლატფორმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კომპანიის რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ კორეულ ენაზე და შესაბამისად უცხოელი ინვესტორი კორეული ენის არ ცოდნის შემთხვევაში ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას⁴³.

Start Biz Online (www.startbiz.go.kr), აერთიანებს ინტერნეტ რეესტრის ოფისს, ადგილობრივ გადასახადების გადახდის სისტემას, ელექტრონულ სანოტარო დამოწმების სისტემას, ეროვნულ საინფორმაციო საგადასახადო სისტემას, საერთო ფინანსურ ქსელს და სოციალური დაზღვევის საინფორმაციო სისტემას, რომლებიც

³⁸ Johan Chun, South Korea <https://www.business-sweden.com/> Accessed 24th February 2023

³⁹ Published By Avery Koop, Top Heavy: Countries by Share of the Global Economy (29th December 2023) <https://www.visualcapitalist.com/> Accessed 24th February 2023

⁴⁰ Saemoon Yoon, World Economic Forum, This is how South Korea can become a global innovation hub <[This is how South Korea can become a global innovation hub | World Economic Forum \(weforum.org\)](https://www.weforum.org/)> Accessed 24th February 2023

⁴¹ Bloomberg Innovation Index 2021 <https://ec.europa.eu/> Accessed 24th February 2023

⁴² Ease of Doing Business Ranking <https://www.doingbusiness.org/> Accessed 24th February 2023

⁴³ US Department of State, 2022 Investment Climate Statements: South Korea <https://www.state.gov/> Accessed 24th February 2023

ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ახორციელებენ კომპანიის რეგისტრაციისათვის საჭირო ოპერაციებს⁴⁴.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციისთანავე, სავალდებულოა დაინტერესებულმა მეწარმე სუბიექტმა უზრუნველყოს კომპანიის ბეჭდის დამზადება. ბეჭდის დამზადება შესაძლებელია ბეჭდის დამამზადებელ სააგენტოებში და მომსახურების საფასური შეადგენს დაახლოებით 30,000 (ოცდაათი ათასი) კორეულ ვონს, რაც დაახლოებით 23 (ოცდასამი) აშშ დოლარს უდრის. ბეჭდის დამზადებას უმეტეს შემთხვევაში ჭირდება 1 (ერთი) სამუშაო დღე.



* კომერციული რეესტრის <https://www.startbiz.go.kr/> -ის მთავარი გვერდი

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციამდე დაინტერესებული პირი უზრუნველყოფს კომპანიის სასურველი სახელის შემოწმებას. სახელის შემოწმება შესაძლებელია ონლაინ და მას სახელმწიფო ორგანოსგან რაიმე სახის თანხმობა ან/და ნებართვა არ სჭირდება. სახელის შერჩევის შემდგომ დაინტერესებულმა პირმა ზემოთხსენებული პლატფორმის მეშვეობით უნდა ატვირთოს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და უმეტეს შემთხვევაში კომპანიის რეგისტრაციას და ამონაწერის გაცემას სჭირდება 3 (სამი) სამუშაო დღე. აღნიშნულ 3 (სამი) სამუშაო დღის მანძილზე სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანო ამოწმებს ატვირთულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სისწორეს, ხოლო იურიდიული მისამართის სისწორეს ამოწმებს საგადასახადო ორგანო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიის წარმატებით რეგისტრაციის შემდგომ სავალდებულოა მარეგისტრირებელ ორგანოში ფიზიკური ვიზიტი ორიგინალი სადამფუძნებლო დოკუმენტების ასაღებად⁴⁵.

მეწარმე სუბიექტის წარმატებით რეგისტრაციის შემდგომ, კომპანია ვალდებულია დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელად ეროვნულ

⁴⁴ Korea, Rep., Doing Business 2020 <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 24th February 2023

⁴⁵ Korea, Rep., Doing Business 2020 <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 27th February 2023

საგადასახადო ორგანოში. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც ონლაინ <http://www.hometax.gor.kr/> ვებ-გვერდის მეშვეობით, ასევე ფიზიკური ვიზიტით. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას სჭირდება დაახლოებით 4 (ოთხი) სამუშაო დღე.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ კორეაში უცხოელის, ანუ კორეაში არარეზიდენტის მიერ მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციის წესი, რომელიც განსხვავებულია კორეის მოქალაქის მიერ ადგილობრივი მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის წესისგან. ამასთან დაინტერესებულ ინვესტორს საშუალება აქვს აირჩიოს კორეის კანონმდებლობით გათვალისწინებული მისთვის შესაფერისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, მათ შორის შპს, სს და ა.შ. კორეის კანონმდებლობით არარეზიდენტ პირისთვის არსებობს სამი გზა კორეაში ბიზნესის დასაწყებად.

- 1) ადგილობრივი კორპორაცია / პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპანია (FDI Company)
- 2) ფილიალი (Branch Office)
- 3) მეკავშირე ოფისი (Liaison Office)

ადგილობრივი კორპორაცია / პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპანიის (FDI Company) რეგისტრაციისათვის საჭიროა მინიმუმ 100 (ასი) მილიონი კორეული ვონის ინვესტიცია, რაც დაახლოებით უდრის 85,000 (ოთხმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარს. ვინაიდან კორეის ხელისუფლება მუცმივად ცდილობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, აღნიშნულ კომპანია სარგებლობს რიგი საგადასახადო შეღავათებით. ამასთან დამფუძნებელს შეუძლია მოითხოვოს მისთვის საინვესტიციო ვიზის გაცემა. ადგილობრივი კორპორაცია / პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპანია (FDI Company) განიხილება როგორც ადგილობრივი, კორეული კომპანია.

ადგილობრივი კორპორაცია / პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპანიისგან (FDI Company) განსხვავებით ფილიალი განიხილება, როგორც უცხოური მეწარმე სუბიექტი და შესაბამისად რეგისტრაციისთვის მას არ სჭირდება კაპიტალ დაბანდება. ფილიალი უფლებამოსილია აწარმოოს საქმიანობა მოგების მიზნით, შესაბამისად კორეის კანონმდებლობის მიხედვით ის იბეგრება ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად⁴⁶.

რაც შეეხება მეკავშირე ოფისს (Liaison Office), ფილიალის მსგავსად ისიც განიხილება როგორც უცხოური კორპორაცია, მაგრამ ფილიალისგან განსხვავებით მას არ აქვს უფლება აწარმოოს საქმიანობა მოგების მიზნით. მისი საქმიანობა

⁴⁶ Korea Trade Investment-Promotion Agency <[Incorporation](#) | [InvestKOREA\(ENG\)](#)> Accessed 27th February 2023

შემოიფარგლება მხოლოდ ბაზრის კვლევის, ბიზნესის განვითარების და სამეცნიერო კვლევების კუთხით.



კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

წამოდგენილი კვლევის შედეგად შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ციფრული მმართველობის ჭრილში საქართველოს ლიგალტექის მდგომარეობა იუსტიციის სისტემაში. მიღწევებისა და გამოწვევების უკეთ გამოსაკვეთად კვლევის პროცესში დედარგა კომპანიების ონლაინ რეგისტრაციის საკანონმდებლო რეგულაციები მსოფლიოს 3 მაღალტექნოლოგიურ (ე.წ. HiTech) ქვეყანასთან - ესტონეთთან, სინგაპურთან და სამხრეთ კორეასთან.

აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლა კვლევის პროცესში მიზანმიმართულად იქნა შერჩეული: ესტონეთი, როგორც ცნობილია წარმოადგენს ევროკავშირის ლიდერ ქვეყანას ტექნოლოგიების საჯარო სერვისებში დანერგავთან დაკავშირებით. ის არის ქვეყანა, რომელმაც ევროკავშირში პირველმა შეძლო ე.წ. ელექტრონული მთავრობის ფორმირება და საჯარო სერვისების აბსოლუტური უმრავლესობის ციფრულ სერვისების ფორმით დანერგვა. ამასთან ესტონეთი არის პოსტსაბჭოური ქვეყანა და საქართველოსთვის შეძლება გახდეს კარგი მაგალითი, როგორც მსგავსი ისტორიული განვითარების საფუძვლის მქონე ქვეყანა. სინგაპური ერთი მხრივ წარმოადგენს ყოფილი ძალიან ღარიბი ქვეყნიდან 4 „აზიურ ვეფხვად“ წოდებული ეკონომიკის მქონე ქვეყანას, მაგრამ ამასთან მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ ქვეყანა უფრო ჩაკეტილი სახელმწიფო ბიუროკრატიის ფონზე ვითარდება. მესამე ქვეყანა - სამხრეთ კორეა, ასევე საქართველოსთვის უნიკალურია, რადგან ერთი მხრივ აქვს საქართველოს მსგავსი ტერიტორიული პრობლემები -

კორეა გაყოფილია ორ ქვეყნად, ხოლო მეორეს მხრივ პატარა ქვეყანამ შეძლო სინგაპურის მსგავსად „აზიურ ვეფხვების“ ეკონომიკის ქვეყნების რიგში ჩამდგარიყო. დღეისათვის სამხრეთ კორეა გადაუჭარბებლად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს-ერთ-ერთ მაღალტექნოლოგიურ (HiTech) ქვეყნად. ამასთან დემოკრატიულობის ხარისხი სინგაპურზე მაღალია და დემოკრატიული ღირებულებების ტექნოლოგიების განვითარების კრილში დანერგვა მისთვის უცხო არაა.

აღნიშნული სამი ქვეყნის საკორპორაციო კანონმდებლობა გაანალიზდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე - შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შესწავლილი იქნა მათი 2 მთავარი პროცესი - კომპანიების სრულად დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების საკანონმდებლო ინოვაციური ჩარჩოები.

კვლევის შედეგები შედარდა საქართველოს საკორპორაციო სამართლის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს სისტემის შიგნით არსებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ ბაზასთან.

კვლევის შედეგები შეიძლება თეზისების სახით ასე ჩამოყალიბდეს:

1. საქართველოს საკორპორაციო და სამოქალაქო კანონმდებლობა სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალგანვითარებულია და საჭიროებს მცირე ხასიათის რეგულაციების დაზუსტებას.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემავალი ინსტიტუციები ერთმანეთთან კოორდინაციით უზრუნველყოფენ პირთათვის ციფრული სერვისების გაწევას.

3. იუსტიციის სისტემაში არსებული ერთიანი ელექტრონული პორტალი My.gov.ge წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური (HiTech) ქვეყნებში არსებულ ერთიანი ელექტრონული პორტალების მსგავს სისტემას და მისი შემდგომი დახვეწა და განვითარება ამ სისტემას უახლოეს წლებში აქცევს ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ელექტრონულ პლატფორმად.

4. იუსტიციის სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შემოტანა და მისი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება (კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“) ხელს უწყობს ციფრული სერვისების სრულად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებას. კანონის მე-3 (1) მუხლის განმარტება, რომ „კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა“, საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო განვავითაროთ ციფრული მმართველობის მიმართულებები.

5. არსებული კანონმდებლობა და ტექნოლოგიები (my.gov.ge პორტალი) საშუალებას იძლევა პირმა, რომელიც მიიღებს წვდომას ერთიანი ელექტრონული სისტემის პორტალზე და აქვს საქართველოს მოქალაქის ID ბარათი ან ბინადრობის ID

მოწმობა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის წამკითხველი რიდერი, შესაძლებლობა აქვს დისტანციურად დაარეგისტრიროს კომპანია. თუმცა შესაძლებელია ამ სერვისის კიდევ უფრო დახვეწა და განვითარება.

6. სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სრულად დისტანციურ რეჟიმში ტექნოლოგიური შესაძლებლობების შეთავაზება განტვირთავს იუსტიციის სახლებს და გაუადვილებს საქართველოს მოქალაქეებს და ბინადრობის მოწმობის მქონე პირებს, ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად მფოლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სადაც ექნებათ ინტერნეტთან წვდომა, მოახდინონ იურიდიული პირების რეგისტრაცია.

7. ტექნოლოგიის შემდგომი დახვეწა საშუალებას მოგვცემს, პირებმა შეძლონ ონლაინ, რეალურ რეჟიმში მოახდინოთ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდება და ა.შ) ფორმირება, სისტემის მიერ გენერირება და შემდგომ მისი ატვირთვა ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

8. ტექნოლოგიის შემდგომი დახვეწა პირებს საშუალებას მიცემს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ID ბარათი/ბინადრობის ID მოწმობის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის წამკითხველი რიდერის მეშვეობით, არამედ ნოტარიუსის დახმარებით მოახდინონ საზღვარგარეთის პასპორტის მეშვეობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ონლაინ დამოწმება და ატვირთვა.

9. ერთიან ელექტრონული პორტალის შემდგომი განვითარების შედეგად, შესაძლებელია მასში ინტეგრირდეს ხელოვნური ინტელექტის უკვე არსებული ტექნოლოგიის მსგავსი (მაგ, ChatGPT ტექნოლოგიის მსგავსი), რომელიც პირებს ონლაინ რეჟიმში დაეხმარება სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნისას სამართლებრივად გამართული მუხლების და წინადადებების ფორმირებაში.

10. დღეს არსებული ელექტრონული პორტალი ტექნოლოგიურად საჭიროებს შემდგომ განვითარება და დახვეწას, თუმცა ფაქტია, რომ მისი შესაძლებლობები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კვლად უცნობია, რაც ამცირებს მათ მიერ პორტალის გამოყენების სიხშირეს.

11. მნიშვნელოვანია my.gov.ge-ის მობილური აპლიკაციის დანერგვის დაჩქარება. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია არსებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოდელის მოდიფიკაცია. იმის გამო, რომ არსებული ტექნოლოგიური საშუალებები (ID ბარათი, USB წამკითხველი რიდერი და სპეციალური PIN 1,2,3 კოდების გამოყენება) არ იძლევა მობილური აპლიკაციისა და „სმარტფონის“ გამოყენებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების საშუალებას, ამიტომ აუცილებელია სხვა, შესაბამისი ტექნოლოგიების შემოტანა (Mobile ID, Digital ID).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გვაქვს შემდეგი რეკომენდაციები:

1. ერთიანი ელექტრონული პორტალი - My.gov.ge პოსტსაბჭოურ სივრცეში უნიკალურია და სრულიად პასუხობს თანამედროვე ციფრული მმართველობის ყველა მთავარ პრინციპს (მომხმარებლებზე, მოქალაქეზე ორიენტირებულობა (Citizen First/Citizen Centricity); „მხოლოდ ერთხელ“ (Once only); „ერთი სარკმლის“ პრინციპი – ერთიანი საკონტაქტო არხი (Single Points of Contact); „უწინარეს ციფრულად“ (Digital First); „უპირობოდ ციფრული“ (Digital by default);

2. My.gov.ge-ს შემდგომი დახვეწა კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი სუბიექტების მიერ ონლაინ სერვისების მიღებას, რაც იუსტიციის სამინისტროს სისტემას დაუზოგავს როგორც ადამიანურ, ისე ფინანსურ რესურსებს;

3. კვლევა გვიჩვენებს, რომ იუსტიციის სისტემაში არსებული ონლაინ სერვისების მარეგულირებელი ნორმები სრულ შესაბამისობაშია როგორც ევროკავშირის 2019 წლის დირექტივასთან, ასევე მაღალტექნოლოგიური (HiTech) ქვეყნების სამართალთან (ელექტრონული ხელმოწერა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, კიბერუსაფრთხოება და ა.შ)

4. მთავარ რეკომენდაციად მიგვაჩნია, ერთიან ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ს ბიზნესის სერვისებში პირველივე სერვისად დაემატოს ახალი „ლინკი“ – „ახალი ბიზნესის რეგისტრაცია“, ან „კომპანიის რეგისტრაცია“, სადაც პორტალის მომხმარებელს საშუალება ექნება სრულად დისტანციურად, იუსტიციის სახლში ვიზიტის გარეშე შეძლოს სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია.

5. ანალოგიური პრინციპით შესაძლებელია პორტალზე განხორციელდეს არაკომერციული იურიდიული პირების (ა.ა.ი.პ.) რეგისტრაცია.

6. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მცირე ტექნოლოგიური ტრანსფორმირების შემდეგ პირველ ეტაპზე ელექტრონულ პორტალ My.gov.ge-ს ბიზნესის სერვისებში პირველ ეტაპზე „ჩაშენდეს“ კომპანიის დღეს არსებული ვებ პროგრამა, რომელზე წვდომაც აქვთ იუსტიციის სახლის თანამშრომლებს და მოქმედ ნოტარიუსებს. აღნიშნულ პროგრამის ფილტრაციის (პროგრამიდან არასაჭირო ან კონფიდენციური ველების ამოღება ან დამატება) შემდეგ ერთ სერვისად წვდომის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამის მოთხოვნების შევსება მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

7. სერვისის განვითარების მეორე ეტაპზე, სადამფუძნებლო დოკუმენტის PDF ფაილების ატვირთვის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს დამატებითი პროგრამის ჩაშენება, რომლის დახმარებითაც სადამფუძნებლო დოკუმენტები (სადამფუძნებლო

შეთანხმება, წესდება და ა.შ) შესაძლებელია პროგრამაშივე გაიხსნას და ველების სახით მოხდეს მომხმარებლის მიერ მისთვის არასტანდარტული მუხლების კორექტირება, რომელიც საბოლოო ჯამში პროგრამის მიერვე დაგენერირდება.

8. სერვისის განვითარების მესამე ეტაპზე, პროგრამაში შესაძლებელია ჩაშენდეს ხელოვნური ინტელექტის პროგრამული კომპონენტი, რომელიც სადამფუძნებლო დოკუმენტის არასტანდარტული მუხლების ფორმირებისას მომხმარებელს დაეხმარება ნორმის იურიდიული ფორმულირების ალტერნატივების მიწოდებაში.

9. პირველ ეტაპზე რეკომენდირებულია არსებული ტექნოლოგიური საშუალებით - ID ბარათის ან ბინადრობის მოწმობითა და რიდერის გამოყენებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმება.

10. განვითარების შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია პირის იდენტიფიცირებისა და დოკუმენტების დამოწმების სხვა, უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანაც (სახის ვიზუალუზაციის და სხვა ტიპის პროგრამები).

12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის აპლიკაციის დანერგვა მობილური აპლიკაციების ფორმატში. დღეს არსებული ტექნოლოგიით ამგვარი ხელმოწერის შესრულება დაიშვება მხოლოდ სტაციონარულ კომპიუტერებზე, ID ბარათისა და წამკითხველი რიდერის მეშვეობითა და სისტემის მიერ გაცემული პინ 1, პინ 2 და პინ 3 დამოწმებით. გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ელექტრონული სერვისების გაცილებით მეტი მომხმარებელი არის მობილური აპლიკაციების მეშვეობით მომუშავე მომხმარებელი. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ე.წ. Mobile ID ან Digital ID ტექნოლოგიების დანერგვის მიზანმიმართული გეგმა იუსტიციის სისტემაში. ამგვარი ხელმოწერის დანერგვა შესაძლებელს გახდის my.gov.ge-ის მობილური აპლიკაციის გაშვების შემდეგ მოხდეს იურიდიული პირების ონლაინ რეგისტრაციის სერვისის დანერგვაც „სმარტფონების“ მეშვეობით.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში ციფრული მმართველობის მოდელის დამკვიდრება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. როგორც ცნობილია, სახელმწიფოების უმრავლესობაში, მთავრობა მოსახლეობას ელ-

სერვისების შეზღუდულ რაოდენობას აწვდის⁴⁷ და როგორც წესი, ეს სერვისებიც ბიზნეს სექტორს უფრო მიესადაგება (იუსტიციის სერვისები, ელექტრონული გადახდები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა და ა.შ). ამ ფაქტორის გამო, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ციფრული მმართველობის დანერგვის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, პოლიტიკური ნების შესწავლა და ხელისუფლებისთვის ციფრული მმართველობის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა წარმოადგენს⁴⁸ (West, 2005).

იმის გამო, რომ G2C ელ-მმართველობა არის ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაცია ელექტრონული გზების საშუალებით, თავისთავად აუცილებელია არსებობდეს ამ გზების შექმნის და შემდგომში მათი გამოყენების პოლიტიკური ნება. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს იმ ციფრული საშუალებების შექმნა, რომლის გამოყენებითაც მოხდება სხვადასხვა სერვისების დანერგვისას. სწორედ ამის ნათელი მაგალითია იუსტიციის სისტემაში არსებული ერთიანი ელექტრონული პორტალის - My.gov.ge-ს შექმნა და მისი მუდმივად განვითარების ტენდენციის შენარჩუნება.

სწორედ აღნიშნულს ემსახურება წამოდგენილი კვლევა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია პორტალში დაინერგოს კიდევ ერთი- ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი სერვისი - კომპანიების და ა.ა.ი.პ-ების რეგისტრაციის ყველაზე ტანამედროვე - სრულად ელექტრონიზებული დისტანცირებული მეთოდი, რომლის დროსაც მომხმარებლებს შეეძლებათ ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერისა და აიდი ბარათის რიდერთან ერთად გამოყენებით მათი რეგისტრაცია.

გარდა ამისა, უნდა გაგრძელდეს უფრო ტანამედროვე ტექნოლოგიების, პროცესებისა და ადამიანური რესურსების მობილიზება იმისათვის, რომ აღნიშნული სამართლის ტექნოლოგიები დავნერგოთ მობილურ აპლიკაციებში, რაც უფრო გაამარტივებს აღნიშნული სერვისების მოხმარებას და „მომხმარებლისთვის მოსახერხებელს“, უფრო „მერობრულს“ (ე.წ. „Userfriendly“-ს) გახდის აღნიშნულ სერვისებს.

დაბოლოს წამოდგენილი კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში სამართლის ტექნოლოგიების (LegalTech)-ის მიმართულების განვითარებას, რომლის დანერგვასაც

⁴⁷ იხ. Chen, Y. C. Citizen-centric e-government services: Understanding integrated citizen service information systems. *Social Science Computer Review*, 28(4), 2010, P. 427-442.

⁴⁸ West, D. M. (E-government and the transformation of service delivery and citizen attitudes. *Public administration review*, 64(1), 2004). P. 15-27.

ვცდილობთ არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში, არამედ ბიზნეს სექტორსა და აკადემიურ სივრცეშიც⁴⁹.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bisen S. S. & Deshpande Y. The Impact of the Internet in twenty-first century addictions: An overview. In Psychological, Social, and Cultural Aspects of Internet Addiction (pp. 1-19). IGI Global, 2018
2. Chen, Y. C. Citizen-centric e-government services: Understanding integrated citizen service information systems. Social Science Computer Review, 28(4), 2010
3. გაბისონია ზ. ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. თბ., 2022,
4. გაბისონია ზ. ინტერნეტ სამართალი, როგორც სამართლის ახალი დარგი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N11/2022.
5. გაბისონია ზ. ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, შედარებითი სამართლის გერმანულ - ქართული ჟურნალი, N6/2020, (გერმანულ და ქართულ ენებზე).
6. გაბისონია ზ. ბლოკჩეინის სამართლებრივი რეგულირების ცნება და პრობლემები, შედარებითი სამართლის გერმანულ - ქართული ჟურნალი , N 3/2019
7. გაბისონია ზ. ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლის სუბიექტად ცნობის პრობლემა, ჟურნ. „იუსტიცია“, N1.
8. გაბისონია ზ., გაბრიელეშვილი გ., გაგნიძე ნ., პაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა (რედ. ქ. ქარდავა), თბ., 2021
9. გ. ხუბუა, ლ. სირდაძე. სამართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N7/2022.
10. Electronic Signature Laws & Regulations – Singapore <https://helpx.adobe.com/> Accessed 4th March 2023
11. Electronic Signature Laws & Regulations - South Korea <https://helpx.adobe.com/> Accessed 4th March 2023

⁴⁹ მაგალითად, თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფ. გ. ხუბუას, პროფ. შ. ბრაიდენაზის დ ას. პროფ. ლ. სირდაძის მიერ შეთავაზებულია „სამართლის ტექნოლოგიების კურსი“.

12. Overview of eSignature Legality in Estonia <Overview of eSignature Legality in Estonia - Dropbox Sign (hellosign.com)> Accessed 4th March 2023
13. West, D. M. E-government and the transformation of service delivery and citizen attitudes. Public administration review, 64(1), 2004

ინტერნეტ რესურსები:

1. DIRECTIVE (EU) 2019/1151 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 June 2019 amending Directive (EU) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law <Directive (EU) 2019/ of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 amending Directive (EU) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law (europa.eu)> Accessed 6th March 2023 (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
2. ETUC GUIDELINES DIRECTIVE ON DIGITAL TOOLS AND PROCESSES IN COMPANY LAW (Brussels 2021) (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
3. Online formation of corporations The requirements of the Digitalization Directive at a glance <Online formation | Digitalization Directive (deloitte.com)> Accessed 6th March 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
4. Ease of Doing Business Rankings <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 23rd February 2023
5. Ease of Doing Business <https://e-estonia.com/> Accessed 23rd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
6. What is Mobile-ID? < <https://www.mobile-id.lt/>> Accessed 23rd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
7. What is Estonian e-Residency and how to take advantage of it? <What is Estonian e-Residency and how to take advantage of it? | Xolo.> Accessed 23rd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
8. How to Establish a Company in Estonia <https://www.koda.ee/> Accessed 23rd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);

9. Drew Donnelly, The Advantages of Doing Business in Singapore (October 28, 2022) <https://nhglobalpartners.com/> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
10. The world Bank, Ease of Doing Business in Singapore <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
11. Why Singapore is Preferred by Foreign Companies <https://www.rikvin.com/> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
12. Piloto, What is ACRA BizFile in Singapore and Why You Need It (January 13, 2023) <<https://www.pilotoasia.com/>> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
13. The world Bank, Ease of Doing Business in Singapore <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
14. Singapore Company Registration: A Comprehensive Guide <<https://www.guidemesingapore.com/>> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
15. Singapore's Company Constitution vs Memorandum and Articles of Association <<https://www.wealthbridgecs.com/>> Accessed 22nd February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
16. Johan Chun, South Korea <https://www.business-sweden.com/> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
- Published By Avery Koop, Top Heavy: Countries by Share of the Global Economy (29th December 2023) <https://www.visualcapitalist.com/> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
17. Saemoon Yoon, World Economic Forum, This is how South Korea can become a global innovation hub <This is how South Korea can become a global innovation hub | World Economic Forum (weforum.org)> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
18. Bloomberg Innovation Index 2021 <https://ec.europa.eu/> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
19. Ease of Doing Business Ranking <https://www.doingbusiness.org/> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);

20. US Department of State, 2022 Investment Climate Statements: South Korea <https://www.state.gov/> Accessed 24th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
21. Korea, Rep., Doing Business 2020 <https://archive.doingbusiness.org/> Accessed 27Th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);
22. Korea Trade Investment-Promotion Agency <Incorporation | InvestKOREA(ENG)> Accessed 27th February 2023; (ბოლო ნახვის თარიღი 15.03.2023);

ინტერვიუები:

1. სსიპ ციფრული განვითარების სააგენტო (დომიტრი გუგუწავა, მარიამ კვიციანი)
2. სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო (ლადო სიჭინავა)
3. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (ნოტარიუსი დავით ოყროშიძე)